# საარბიელო

სპორტული გაზეთი პარასკევი 21 ნოემბერი 2003 №222 (1993) ფასი 50 თეთრი




დიმიტრი იაშვილი მომდევნო მსოფლიოს თასზე ალბათ ითამაშებს. და რას იზამენ ბორჯღალოსნები?

## შავრაზმელებმა შემორჩენილი საქართველოც დაგვიმარცხეს

რაგბის მსოფლიოს თასისთანა დიდ ტურნირზე მესამე ადგილისთვის მატჩი ზოგჯერ ლამაზი და თან დაძაბულიც გამოდის. ოღონდ კი ამჯერზე ნახევარფინალებში წაგებულთა შეხლა მთლად საამო ვერ გამოდგა. ახალზელანდიელებმა სრული საბრძოლო შავრაზმი გაუყვანეს ფრანგებს და მოსაგებად ბრძოლის არაერთი მიზეზიც ჰქონდათ, მაგრამ ფრანგებმა მომხდურებს სამარქაფოები დააზვედრეს და ამის გამო „მცირე ფინალმა" ბევრი დაკარგა.

ფრანგთაგან თუ ვინმე დაიხარჯა, დიმიტრი იაშვილი — საქართველოს მსოფლიოს თასს შერჩენილი ნაწილი, ვინაც ალბათ არაერთი წლით დაიკავა პენსიაზე გასული კაპიტნის ფაბიენ გალტიეს ადგილი. დიმიტრი თავის საქმეს, შერკინება-ზედახორებიდან ბურთის მეყსეულად გამოტანას გალტიეზე არანაკლებ აგვარებდა. მეტიც, ფრანგთა სახელოვან 10 ნომერს ჟერალ მერსერონს ფეხი რომ მოეცარა, იაშვილმა კარში დარტყმაც ითავა და „მამლების" 13 ქულიდან 8 თავის აქტივში შეიტანა, გაიტანა საჯარიმოც, გარდასახვაც და არეკნიც.





## სტამბოლი ჰაერში აიწია, ლიგა ჰაერში გამოეკიდა

### ტერორმა უეფას გალათასარაი — იუვენტუსი და მაკაბი — ვალენსია გადაადებინა

## ლატვია ამაყობს

### სტარკოვსის არმიამ ევროპა თურქებისგან იხსნა



## მარის ვერპაკოვსკისის ქართული დებიუტი და თურქული გოლები

...წარმოიდგინეთ ჩემი გაოცება, როცა ლატვიის ნაკრების მაშინდელმა მწვრთნელმა რევაზ ძოძუაშვილმა მითხრა, ათენში ბერძნების წინააღმდეგ ძირითადში ითამაშებ, შენი იმედი მაქვს, უნდა გამიმართლოო. თავიდან მეგონა, მწვრთნელი ხუმრობის ხასიათზე იყო, მაგრამ იმ დღესვე დავრწმუნდი, რომ ძოძუაშვილი ჩემზე სერიოზულად ფიქრობდა.

... ვმეგობრობ რეხვიაშვილთან, სილაგაძესთან, ჩალაძესთან... მარის ვერპაკოვსკისი ქართველების მეგობრად ჩათვალეთ. მე საქართველოს, ქართველებს ვაფასებ, პატივს ვცემ. ძალიან მსურს ლატვიის ნაკრების მსგავს წარმატებას საქართველოს ნაკრებმაც მიაღწიოს.

ინტერვიუ მარის ვერპაკოვსკისთან იხილეთ მეორე გვერდზე

# ლატვიამ სიხარული ჩაიბარა და ჩააკათხა

**ასკოლდ ულდრიკისი** *რიგიდან საგანგებოდ „სარბიელისთვის“*

**ახლაც** თვალწინ მიდგას ის კადრები, რომელიც „ენტეეე ფუტბოლმა“ საქართველო — რუსეთის მატჩის შემდეგ გადასცა. მაშინ თბილისში ნამდვილი ზეიმი ყოფილა, ვნახე, როგორ გაიხარეს ქართველებმა რუსეთის ძლევით. გავიფიქრე კიდეც, ახლა თბილისში ვიყო და ქართველთა სიხარული გამაზიარებინა-მეთქი... წარმომიდგენია, რა მოხდებოდა თბილისში, საქართველოს ნაკრებს რომ ისეთივე წარმატებისთვის მიეღწია, როგორსაც ლატვიამ — ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრილიყო.

სტამბოლიდან რიგაში გამთენიისას დავბრუნდით. აეროპორტში 500-მდე ქომაგი დახვდა ლატვიის ნაკრებს. იყო ერთი-ორი შეძახილი, მილოცვა და მორჩა, ხალხი დაიშალა, ფეხბურთელებიც თავიანთ გზას გაუყვნენ. ჩვენში ფეხბურთი არცთუ ისე პოპულარულია და ჯერაც ვერ გაუთვითცნობიერებიათ, რა მოხდა, ალექსანდრ სტარკოვსის შეგირდებმა რამხელა საქმე გააკეთეს. ლატვიური სიხარული სულ ესაა — ლუდის ბარებში კათხების ჭახაჭუხი და კანტიკუნტად ნაკრების სადღეგრძელოები. რიგის ქუჩებში კაციშვილი არ გამოსულა, არც დროშების ფრიალი ყოფილა და, მით უფრო, არც მანქანების საბარგულებზე შემოწყობილი ბოთლები. ქომაგებს ამ ისტორიული წარმატების აღსანიშნად თავი განსაკუთრებულად არ შეუწუხებიათ.

ბუნებრივია, რიგაში მყოფებზე ემოციურად ლატვიის ნაკრების ტრიუმფი სტამბოლში ჩასულმა 90-მდე ლატვიელმა „ინონუს“ სტადიონზე განიცადა. დალხენილი ცხოვრება არც ჩვენთანაა და თურქეთში გუნდის საქომაგოდ წასვლა მხოლოდ მათ შეძლეს, ვისაც შემოსავლიანი ეთქმის. ამ 90 კაცს მატჩის დამთავრებიდან საათნახევრის განმავლობაში ტრიბუნიდან ფეხი არ მოუცვლია და თურქი სპეცრაზმელების თვალწინ თავის ემოციას დაუფარავად გამოხატავდა. ამ დროს კი „ინონუს“ საპრესკონფერენციო დარბაზში გუნდების მწვრთნელებს ველოდით, რომლებმაც ჩვენთან შეხვედრაზე დაიგვიანეს, თუმც, შეიძლება ითქვას, პრესკონფერენცია არც გამართულა. შენოლ გიუნეში რაღაც გაუგებრად ლაპარაკობდა და თავისი გუნდის მარცხის გასამართლებლად უაზრო მიზეზები მოჰყავდა, ალექსანდრ სტარკოვსი კი სიხარულისგან სულაც დამუნჯებულიყო და საჭირო სიტყვებს ძლივს პოულობდა, გაშეშებული იჯდა კოლეგის გვერდით და უმეტყველო თვალებით მოგვჩერებოდა. ბოლოს ძლივს მოახერხა და ფეხბურთელებს მადლობა გადაუხადა.

ბიჭები კი თურქეთზე გამარჯვებას გასახდელში ჩაკეტილები ზეიმობდნენ. გუნდს სტამბოლში ჩასვლიდან უკან წამოსვლამდე თურქული ჟანდარმების დიდი რაზმი იცავდა. ავტობუსს კი მთელ გზაზე პოლიციის ექვსი მანქანა მიაცილებდა. საბოლოოდ, ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა, ლატვიამ გაიხარა და შინაც უვნებელნი დავბრუნდით.

*მარის ვერპაკოვსკისი — 24 წლის ფეხბურთელი, რომელმაც ააშენა ლატვია და დააქცია სრულიად თურქეთი. შაბათს, ევროშესარჩევის პლეი ოფის პირველ მატჩში რიგაში, მან თურქებს გადამწყვეტი, მატჩის მომგები გოლი გაუტანა. ოთხშაბათს მან თურქეთს მეორე გოლიც გაუტანა, ანგარიში გაუთანაბრა და ლატვიას არნახული წარმატება მოუტანა.*

*დღეს კი სკონტოელი მარის ვერპაკოვსკისი ლამისაა ლატვიაში ეროვნულ გმირად შერაცხონ. ტელეარხები და ჟურნალ-გაზეთები გამუდმებით მასზე ლაპარაკობენ და წერენ, თუმც თავად სატელეფონო ზარებს არ პასუხობს. სანაკრებო ბატალიების მერე მარისი დროს მონატრებულ სატრფოსთან ატარებს.*

*თავიდან ის არც ჩვენს ზარს პასუხობდა, მაგრამ „სარბიელის“ ლატვიელი მეგობრების დახმარებით მარისთან ეს ინტერვიუ შედგა. სხვათა შორის, მარის ვერპაკოვსკისი დიდ საფეხბურთო სარბიელზე სწორედ ქართველის დაფრთიანებულია, 1999 წელს ათენში...*

# მარის ვერპაკოვსკისის ფანტასტიკა: ქართული დებიუტი და თურქული გოლები



**მარის ვერპაკოვსკისი (№9): თურქეთისთვის შაითანი, ლატვიისთვის გმირი**

— ეს ფანტასტიკა იყო. ეროვნულ გუნდში კი არა, რიგის „სკონტოში“ თამაშზე ვოცნებობდი, 20 წლის ბიჭს ლატვიის ჩემპიონატში რამდენიმე მატჩი მქონდა ჩატარებული — გვითხრა მარის ვერპაკოვსკისმა — წარმოიდგინეთ ჩემი გაოცება, როცა ლატვიის ნაკრების მაშინდელმა მწვრთნელმა რევაზ ძოძუაშვილმა დამიბარა და მითხრა, ათენში ბერძნების წინააღმდეგ ძირითადში ითამაშებ, შენი იმედი მაქვს, უნდა გამიმართლოო. თავიდან მეგონა, მწვრთნელი ხუმრობის ხასიათზე იყო, მაგრამ იმ დღესვე დავრწმუნდი რომ ძოძუაშვილი ჩემზე სერიოზულად ფიქრობდა.

— დებიუტი კი გოლით აღნიშნეთ...

— დიახ, მატჩი ახალდაწყებული იყო, როცა მასპინძელთა საჯარიმოში არეულობა შეიქმნა, მეც ამით ვისარგებლე და გავიტანე. ის მატჩი 2:1 მოვიგეთ. დებიუტი მართლაც ბრწყინვალე მქონდა.

— ლატვიის ნაკრების აღმასვლაც, ალბათ, მაშინდელი შესარჩევი ციკლიდან დაიწყო. მოიგეთ ნორვეგიაში, მოუგეთ ქართველებს, ბერძნებს...

— იმ შესარჩევ ციკლში მე მხოლოდ ბერძნებთან ვითამაშე, თუმც მერე და მერე ნაკრებს გავუშინაურდი. მართალია, ძოძუაშვილის შემცვლელი ინგლისელი ჯონსი არც თუ ხშირად მიწვევდა, მაგრამ მერე ეროვნული გუნდი სტარკოვსმა ჩაიბარა და მეც ამათამაშა.

— თურქებთან გატანილი გოლები თქვენს კარიერაში ყველაზე მნიშვნელოვანია?

— დიახ, ჯერჯერობით ასეა. ამ გოლებს, ალბათ, ის შეედრება, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების ფინალში თუ გავიტან. ჩემი ფეხბურთელობა, ჩემი განვლილი ცხოვრება მხოლოდ იმ სიხარულისთვის ღირდა, რაც ამ გოლებისგან მივიღე.

— ძალიან ბედნიერი ხართ...

— და არა მარტო მე, მთელი ლატვიის ნაკრები ბედნიერია. ჩვენ შეუძლებელი შევძელით, ჩვენ ევროპის ჩემპიონატში ვითამაშებთ.

— როგორ ფიქრობთ, პირველ ყოვლისა, რამ განაპირობა ლატვიის ნაკრების ასეთი წარმატება?

— იცით, ყველაფერი ერთმანეთს დაემთხვა. ნაკრების ყველა ფეხბურთელი ალექსანდრ სტარკოვსის აღზრდილია, მწვრთნელი ისე გვიცნობს, როგორც საკუთარ შვილებს. ამჟამინდელ გუნდში თამაშობენ გამოცდილი და ახალგაზრდა ფეხბურთელები, რაც ნაკრებისთვის მნიშვნელოვანი ფაქტორია, იღბალიც ჩვენკენ იყო, ზოგჯერ მეტოქეებზე მეტად გვიმართლებდა. მოკლედ, ყველაფერი ერთმანეთს ჩვენს სასარგებლოდ დაემთხვა.

— ევროპაში ახლა ყველა გიცნობთ. როგორც ვიცით, თქვენი გადაბირება ბევრ სახელოვან გუნდს სურს...

— დიახ, ვიცი, რომ „სკონტოს“ ხელმძღვანელობას ჩემს თაობაზე რამდენიმე კლუბმა მიმართა. თქვენ კი ამ კითხვაზე უფრო დაწვრილებით კლუბში გიპასუხებენ. მე ბევრი არაფერი ვიცი.

— „სკონტოში“ მოთამაშეთა გარდა სხვა ქართველებთან მეგობრობთ?

— რეხვიაშვილთან, სილაგაძესთან, ჩალაძესთან... მარის ვერპაკოვსკისი ქართველების მეგობრად ჩათვალეთ. მე საქართველოს, ქართველებს ვაფასებ, პატივს ვცემ. ძალიან მსურს ლატვიის ნაკრების მსგავს წარმატებას საქართველოს ნაკრებმაც მიაღწიოს.

ესეც თურქების დამანგრეველი მარის ვერპაკოვსკისი.

ჩვენი ლატვიელი კოლეგების თქმით, ის „სკონტოს“ ერთ-ორ თვეში დატოვებს, მაშინ, როცა ევროპაში სატრანსფერო სეზონი გაიხსნება. ვერპაკოვსკისის გადაბირება, თურმე, ყველაზე მეტად ლონდონის „არსენალს“ სურს, უარზე არც მიუნხენის „ბაიერნია“ და „დეპორტივოც“ თავისას ცდილობს.

**ბობა ინასარიძე**

# რეხვიაშვილი რიგაში დარბის



**მოსკოვურმა** „ტორპედო-მეტალურგმა“, სასწაულებრივ რომ შეინარჩუნა ადგილი რუსულ პრემიერლიგაში, გუშინ ოთხი ფეხბურთელი გაასხვისა. კლუბის მესვეურებმა ორი ფეხბურთელიც გუნდიდან დაითხოვეს. ამ ექვსს შორის არ არის ჩვენი ეროვნული ნაკრების საყრდენი ნახევარმცველი ალექსანდრე რეხვიაშვილი, თუმც ამთავითვე შეიძლება იმის თქმა, რომ „ტორპედო-მეტალურგის“ და რეხვიშვილის ურთიერთობას დიდი დღე არ უწერია.

რეხვიაშვილმა ჩათავებულ სეზონში 22 მატჩი ჩაატარა მოსკოვურ კლუბში და ჯამში 1727 წუთი დაჰყო მოედანზე. თითო გოლი და საგოლე პასი, ერთი გაძევება და შვიდი გაფრთხილება — ასეთია ქართველის მონაგარი.

გეხსომებათ, ბოლო ორი თვის მანძილზე ალეკოს ურთიერთობა გაურთულდა მწვრთნელებთან, მერე თითქოს პრობლემა მოგვარდა, რეხვიაშვილმა ბოლო ტურის და სათასო მატჩებში ძირითადში ითამაშა, თუმც „ტორპედოს“ პრეზიდენტ იური ბელოუსის გუშინდელი ინტერვიუდან ირკვევა, რომ რუსები ქართველ ლეგიონერთან აღარ გააგრძელებენ კონტრაქტს.

— რეხვიაშვილის თაობაზე რამდენიმე კლუბი დაგვიკავშირდა. მე უარს არ ვიტყოდი მის დატოვებაზე, მაგრამ ყველაფერი მწვრთნელის, იგნატენკოს გადასაწყვეტია. მას კი რეხვიაშვილის პოზიციაზე პინტო ჰყავს შეგულებული და მისი დიდად ეიმედება. ამის გამო რეხვიაშვილი სათადარიგოდ მოიაზრება — ეს თქვა ბელოუსმა და ადვილი მისახვედრია, საითაც მიერეკება. „ტორპედო-მეტალურგის“ დატოვება რეხვიაშვილის გეგმაშიცაა, ამის შესახებ ფეხბურთელმა ჯერ კიდევ რუსული პრემიერლიგული სეზონის დასრულებამდე განაცხადა, თუმც მისი სადღეისო პოზიცია უცნობია. რეხვიაშვილთან დაკავშირება რიგაში გუშინ ვცადეთ, მაგრამ შინ არ აღმოჩნდა, საქმეებზე დარბისო, გვითხრა მისმა მეუღლემ და ისიც დაამატა, ალეკო მოსკოვიდან წამოსულია, თუმც ოფიციალურად ჯერაც „ტორპედო-მეტალურგს“ ეკუთვნისო.

**პაატა ძვანტალიანი**

## იტალია

**სერია B. XV ტური**

ალბინოლეფე 0:0 კალიარი
ბარი 2:2 პესკარა
კატანია 1:1 ატალანტა
კომო 1:0 სალერნიტანა
ფიორენტინა 3:1 აველინო
ჯენოა 2:2 ტრიესტინა
ნაპოლი 2:1 ტერნანა
პიაჩენცა 1:1 ასკოლი
ტრევიზო 1:1 პალერმო
ვენეცია 2:0 მესინა
ვერონა 1:1 ლივორნო
ვიჩენცა 2:2 ტორინო

## არგენტინა

**აპერტურა. XV ტური**

ბოკა ხუნიორსი 1:0 სან ლორენსო

## უკრაინა

**თასის 1/4 ფინალი**
**საპასუხო მატჩი**

ჩერნომორეცი 2:0 მეტალურგი (ზ) (1:1)

## ირლანდია

**პრემიერლიგა**
**გადადებული მატჩი**

დერი სიტი 1:1 შემროკი

## შვეიცარია

**ჩელენჯლიგა**
**გადადებული მატჩი**

მეირინი 2:2 სიონი

## ამხანაგური მატჩი

ლუქსემბურგი : მოლდოვა *გადაიდო*

## კალათბურთი

## ევროლიგა

**პირველი ჯგუფური ეტაპი. II ტური. 12 ნოემბერი**

**A ჯგუფი**

ოლიმპია 82:91 ულძერი
რომა 63:77 პატრიზანი

**B ჯგუფი**

ჟალგირისი 87:77 სკიპერი
მაკაბი 97:75 პანათინაიკოსი

**C ჯგუფი**

ვილერბანი 65:77 შლიონსკი
ტაუ 92:77 ოლიმპიაკოსი

სიცივედაკრულ-ბალახგამეჩხერებულ ქართულ მოედნებს საექვსეულო ციებ-ცხელება თუ დაათბობს. სატურნირო ცხრილში იმგვარი ვითარებაა, 8 დეკემბრამდე ბევრი ვერ დაიარხეინებს თავს. „დინამოს", „სიონს" და „ვიტ ჯორჯიას", ფაქტობრივად, გარანტირებული აქვთ საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლა, ისევე, როგორც „კოლხეთს", „სპარტაკსა" და „მერცხალს" საგაზაფხულოდ უმაღლესში ადგილის შესანარჩუნებლად ჭიდაობა.

მეცხრამეტე ტურმა კი, რომელიც დღეს იწყება, შესაძლოა, რამდენიმე გუნდის ბედიც გადაწყვიტოს. 25-25 ქულიანი „თბილისი" და „ტორპედო" მეზობლები არიან სატურნირო ცხრილში, მათი დღევანდელი თბილისური დაპირისპირება კი სამკვდრო-სასიცოცხლო იქნება, რაკილა წაგებულს ზეექვსეულში შეღწევის თეორიული შანსი დარჩება. დღესვე გაირკვევა „მცხეთას" და „ბათუმის" ბედიც. ესენი ერთმანეთში თამაშობენ და წაგების შემთხვევაში მასპინძლებს უმაღლეს ლიგაში დარჩენაზე ფიქრიღა დარჩებათ. თავის მხრივ, მცხეთაში წაფორხილებით „ბათუმსაც" ჩაუცხრება ბოლო დროს მოძალებული ამბიციები. თავი ქუდში არც აქამდე არხეინადმყოფ გორელებს აქვთ. ბოლნისური აყალმაყალისთვის „დილა" ლამის განახევრდა და დაჭრილი მხეცივით დახვდება „სპარტაკს", რაკილა ზეექვსეულში თითქმის გარანტირებული ადგილის დაკარგვის საფრთხე იგრძნო.

დაცხება ქართულ მოედნებზე

# გადაწყვეტილი ამბავია: ეს — გადამწყვეტია!



*გიორგი დევდარიანი,*
*„თბილისის" მთავარი მწვრთნელი:*

— უპრინციპულესი მატჩი გელით. განსაკუთრებული გეგმით ხომ არ ემზადებით?

— არა, ჩვეულებრივად ვვარჯიშობთ. რა თქმა უნდა, ძალიან მნიშვნელოვანი მატჩია. დატვირთვაც დიდი აქვს და არც „ტორპედოა" ხელწამოსაკრავი მეტოქე.

**— ტრავმირებულნი ხომ არ გყავთ?**

— არა, მეტ-ნაკლებად ყველა ფორმაშია და საბრძოლოდაა შემართული. მხოლოდ გივი კვარაცხელიას თამაშია სათუო. მას ბოლო ორი დღე სიცხე ჰქონდა, თუმც ვიმედოვნებ, ხვალამდე სრულად გამოჯანმრთელდება.

**— „ბათუმთან" და „დინამოსთან" მოჯრით ორი თამაში წააგეთ. გუნდი ფსიქოლოგიურად ხომ არ გატყდა?**

— არა მგონია. წაგებაცაა და წაგებაც, მთავარია, რომ გუნდის თამაშის ხარისხი მაიმედებს. სწორედ ამ ხარისხის გასაუმჯობესებლად ვშრომობთ ყოველდღე.

**— ბოლოს მანუჩარ ივარდავაზეც გკითხავთ. „დინამოსთან" მატჩისას ორჯერ უნებლიეთ შეცდა და ეს ძალიან განიცადა. ახლა როგორია მისი ფსიქოლოგიური მდგომარეობა?**

— ვთვლი, რომ განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. ვინ არ შემცდარა. არ ღირს ახლა ამაზე ყურადღების გამახვილება. ისიც და სხვებიც ნორმალური განწყობით ხვდებიან „ტორპედოსთან" მატჩს.



*გელა კიკალეიშვილი,*
*„ტორპედოს" მწვრთნელი:*

— „თბილისი" ჩვენი მთავარი კონკურენტია და ალბათ ეს მატჩი გადამწყვეტი იქნება. მეტოქე პატივსაცემი გვყავს, ქულები კი ჰაერივით გვჭირდება, ასე რომ, ბრძოლა იქნება. ამხელა გზაზე წასაგებად არ მოვდივართ.

**— გუნდში პრობლემები ხომ არ არის?**

— არა. საბედნიეროდ, ყველა ჯანზეა, ტრავმა არავის აწუხებს. „თბილისსაც" ძირითადი შემადგენლობით ვეთამაშებით.

**— პირველ წრეში „თბილისს" ქუთაისში 2:1 მოუგეთ. მას შემდეგ რომელი გუნდი უფრო გაძლიერდა ან პირიქით?**

— ვფიქრობ, ჩვენ უფრო მოვძლიერდით. „თბილისი" იგივეა, რაც მაშინ იყო. ამით, ცხადია, იმის თქმა სულაც არ მინდა, რომ ჩვენი მეტოქე სუსტია. პირიქით, „თბილისი" ძალიან კარგი გუნდია, მაგრამ მისი დამარცხება შეგვიძლია. ექვსეულში მოხვედრა ჩვენი უმთავრესი მიზანია და საამისოდ თავს არ დავზოგავთ.

**— ამ სეზონში „ტორპედოს" სტუმრად თამაში ძალიან უჭირს...**

— ეს ფაქტი ვერანაირად ვერ ამიხსნია, მაგრამ, სამწუხაროდ, მართლა ასეა. სტუმრად ყველა გუნდთან ძალიან გვიჭირს. რა ვიცი, რა გითხრათ. ბოლოს და ბოლოს, ეს ტრადიციაც ხომ უნდა მოიშალოს. დიდი სურვილი გვაქვს, „თბილისთან" არ წავაგოთ და ვნახოთ, რა გამოგვივა.



*დავით გამეზარდაშვილი,*
*„ტორპედო":*

— „თბილისთან" მატჩისთვის ძალიან სერიოზულად ვემზადებით. ექვსეულში მოსახვედრად ეს გადამწყვეტი მატჩია და ყველანაირად ვეცდებით, სასურველ შედეგს მივაღწიოთ. კარგ განწყობაზე ვართ და იმედი მაქვს, კარგადაც ვითამაშებთ.

**— მეტოქეზე რისი თქმა შეგიძლია?**

— „თბილისს" შინ რომ მოვუგეთ, მაშინ მაგრად გაგვიჭირდა. თან მსაჯმა საწყის წუთებზე კახა კვეტენაძე გაგვიგდო და ათი კაცით ვითამაშეთ. მაშინაც გამოჩნდა, რომ „თბილისი" კარგი გუნდია.

**— რომელიმე ფეხბურთელს ხომ არ უფრთხით?**

— ვინმეს გამორჩევა მიჭირს უბრალო მიზეზის გამო — „თბილისის" წინააღმდეგ ერთადერთხელ ვითამაშე და ძალიან შეკრული გუნდი იყო. გამორჩეული და სხვებზე ერთი თავით მაღლა მდგომი ფეხბურთელი არ ჰყავთ. უფრო გუნდურ ფეხბურთს თამაშობენ.

**— რა შედეგი დაგაკმაყოფილებთ?**

— თუ ცხრილს და დარჩენილი მატჩების კალენდარს გადავხედავთ, არც ფრე უნდა იყოს ცუდი.

**— მწვრთნელები სათამაშო პოზიციას ხშირად გიცვლიან. ამჯერადაც რაიმე სიურპრიზს ხომ არ ამზადებს კამპუში?**

— არ ვიცი, ჯერჯერობით ამაზე ჩემთან არაფერი უთქვამს. ბოლოს, „ვიტ ჯორჯიასთან" დაცვაში ვითამაშე, „მერცხალთან" — ნახევარდაცვაში. ახლა ნაღდად არ ვიცი, სად მომიწევს თამაში.

**— და არ გიჭირს?**

— როცა მუდმივად ერთ პოზიციაზე თამაშობ, კარგია, მაგრამ ყოველთვის ასე არ ხდება. მწვრთნელი რასაც გეტყვის, ის უნდა გააკეთო. როგორც ჩანს, ასეა გუნდისთვის საჭირო.

**— შენ რომელ პოზიციაზე გირჩევნია თამაში?**

— რა გითხრა, ზედიზედ სამი მატჩიც კი არ ჩამიტარებია ერთ ადგილზე. დაცვაშიც მითამაშია, ნახევარდაცვაშიც, თავდასხმაშიც. რა ვიცი... ვფიქრობ, ყველაზე უკეთ ნახევარდაცვაში გამომდის.

**— „თბილისთან" მატჩს დავუბრუნდეთ. სტუმრად თამაში „ტორპედოსთვის" აქილევსის ქუსლად იქცა...**

— ჰო, სტუმრად მართლა ცუდად ვთამაშობთ. შესაძლოა, ამან „თბილისთან" მატჩზეც იმოქმედოს, მაგრამ ძალიან მინდა, ასე არ მოხდეს. ყველაფერს გავაკეთებთ, რათა ქუთაისში დაუმარცხებლად დავბრუნდეთ.



*გივი კვარაცხელია, „თბილისი":*

**— გიორგი დევდარიანი შენს ჯანმრთელობას შეუფიქრიანებია, სიცხე აქვსო. ახლა როგორ ხარ?**

— კარგად, მაღალი სიცხე მქონდა და დღეს დამიწია. დღესვე 20 წუთიც ვივარჯიშე. ერთი სიტყვით, ქუთათურებთან მატჩისთვის სრულ მზადყოფნაში ვიქნები.

**— ადრე „ტორპედოში" თამაშობდი. პრინციპული მატჩისთვის განსაკუთრებულად ხომ არ ემზადები?**

— ძალიან მნიშვნელოვანი მატჩია როგორც სატურნირო, ისე ფსიქოლოგიური თვალსაზრისით. მოგებას ვგეგმავთ, თანაც შინ ვთამაშობთ. მაგრამ „ტორპედო" ხომ ხელწამოსაკრავი მეტოქე არაა... შანსებს ორმოცდაათი-ორმოცდაათზე შევაფასებდი. მე პირადად ჩვეულებრივად ვემზადები. ქუთაისთან და ქუთაისელებთან ტკბილი მოგონებები მაკავშირებს. ახლაც ბევრი მეგობარი მყავს „ტორპედოში". განსაკუთრებული არაფერი, უბრალოდ, მინდა, რომ მოვიგოთ.

**— ბოლო ორი მატჩი წააგეთ, განწყობა როგორია?**

— წაგება არავის უხარია, მაგრამ რას ვიზამთ. ჩვენი მთავარი ამოცანა კონკურენტებთან ქულების მაქსიმუმის დაგროვებაა. სამწუხაროდ, დიდი უპირატესობის მიუხედავად, „ბათუმთან" მაინც წავაგეთ. აი, „დინამოსთან" კი თავი არც მოგვიკლავს, ყველანი „ტორპედოსთან" მატჩზე ვფიქრობდით და ვთვლი, რომ „დინამოსგან" სასარგებლო გამოცდილება შევიძინეთ.

საქართველოს უმაღლესი ლიგა 15 ჩემპიონატი პირველი ეტაპი

## 19 ტური ანონსი

გორი. 21 ნოემბერი. 15 საათი. თენგიზ ბურჯანაძე

### დილა — სპარტაკი

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი; ზ. ჯვარიძე (ორივე თბილისი), ზ. ხუციშვილი (დმანისი); პ. დოგრაშვილი (ქუთაისი); სფფ-ის ინსპექტორი: ე. სილაგავა; დირექტორი: მ. ანჯაფარიძე

მცხეთა. 21 ნოემბერი. 15 საათი. არმაზი

### მცხეთა — ბათუმი

მსაჯები: ა. შალამბერიძე (ქუთაისი); ა. სამხარაძე (სოხუმი), მ. ელიკაშვილი; ა. მეშკოვი (ორივე თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: ი. მჭედლიშვილი; დირექტორი: გ. კეტაშვილი

თბილისი. 21 ნოემბერი. 15 საათი. ისანი

### თბილისი — ტორპედო

მსაჯები: მ. მაისურაძე; ზ. მენთეშაშვილი (ორივე თბილისი), ი. აფციაური (დუშეთი); კ. მესხი (ზუგდიდი); სფფ-ის ინსპექტორი: ნ. კაკულია; დირექტორი: შ. ბაქრაძე

ოზურგეთი. 21 ნოემბერი. 15 საათი. ცენტრალური

### მერცხალი — კოლხეთი

მსაჯები: დ. სანაია (სოხუმი); გ. ცირდავა (გულრიფში), ლ. კვარაცხელია (ზუგდიდი); გ. კიკაჩეიშვილი (ქუთაისი); სფფ-ის ინსპექტორი: ბ. ქარქაშაძე; დირექტორი: გ. სორდია

ბოლნისი. 22 ნოემბერი. 15 საათი. თემურ სტეფანია

### სიონი — დინამო

მსაჯები: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); ნ. რუსიშვილი, კ. გაბრიაძე (ორივე ქუთაისი); ა. ორდინიძე (ონი); სფფ-ის ინსპექტორი: ო. გუნთაძე; დირექტორი: ს. კოტრიკაძე

თბილისი. 22 ნოემბერი. 15 საათი. ლოკომოტივი

### ლოკომოტივი — ვიტ ჯორჯია

მსაჯები: მ. მაღალურაძე (თბილისი); ლ. მიქელაძე, გ. ჩიგოგიძე (ორივე სამტრედია); ა. შილაკაძე (თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: მ. ჭელიძე; დირექტორი: დ. რამიშვილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 18 | 12 | 4 | 2 | 38:6 | 40 |
| სიონი | 18 | 10 | 7 | 1 | 26:11 | 37 |
| ვიტ ჯორჯია | 17 | 9 | 5 | 3 | 29:11 | 32 |
| დილა | 18 | 9 | 3 | 6 | 27:18 | 30 |
| თბილისი | 18 | 7 | 4 | 7 | 29:23 | 25 |
| ლოკომოტივი | 18 | 7 | 4 | 7 | 26:21 | 25 |
| ტორპედო | 18 | 7 | 4 | 7 | 17:18 | 25 |
| ბათუმი | 17 | 7 | 2 | 8 | 21:19 | 23 |
| მცხეთა | 18 | 6 | 2 | 10 | 21:43 | 20 |
| კოლხეთი | 18 | 5 | 3 | 10 | 12:23 | 18 |
| სპარტაკი | 18 | 3 | 4 | 11 | 11:42 | 13 |
| მერცხალი | 18 | 2 | 4 | 12 | 16:36 | 10 |

**მეოცე ტური**

26 ნოემბერი, ოთხშაბათი

ვიტ ჯორჯია — მერცხალი
სპარტაკი — ლოკომოტივი
კოლხეთი — თბილისი
ტორპედო — სიონი
დინამო — მცხეთა
ბათუმი — დილა

**ოცდამეერთე ტური**

3 დეკემბერი, ოთხშაბათი

ბათუმი — სპარტაკი
დილა — დინამო
მცხეთა — ტორპედო
სიონი — კოლხეთი
თბილისი — ვიტ ჯორჯია
მერცხალი — ლოკომოტივი

**ოცდამეორე ტური**

7 დეკემბერი, კვირა

სპარტაკი — მერცხალი
ლოკომოტივი — თბილისი
ვიტ ჯორჯია — სიონი
კოლხეთი — მცხეთა
ტორპედო — დილა
დინამო — ბათუმი

| ბომბარდირები | |
|---|---|
| 12 - დავითაშვილი | თბილისი |
| 11 - გონჩაროვი | სიონი |
| გოცირიძე | ვიტ ჯორჯია |
| 10 - კაკალაძე | ბათუმი |
| 9 - ა. კაიდარაშვილი | დილა |
| 8 - ახალაია | დინამო |
| 7 - ვ. გოჩაშვილი | ვიტ ჯორჯია |
| 6 - ბაბედავა | მერცხალი |
| ბაბისკირია | სიონი |

# 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

## პლეი ოფი. საპასუხო მატჩები

### თურქეთი 2:2 ლატვია (0:1)

1:0 ილჰან მანსიზი (21), 2:0 ჰაქან შუქური (64), 2:1 ლაიზანსი (66), 2:2 ვერპაკოვსკისი (77)

ომერი, უმითი (ჰასან შაში 78), ბიულენთი, დენიზი, ემრე, ტუმერი (კარადენიზი 60), ნიჰათი, თუგაი (თუნქჩაი სანლი 80), ჰაქან შუქური, ილჰან მანსიზი, იბრაჰიმი
მწვრთნელი: შენოლ გიუნეში

კოლინკო, სტეპანოვსი, ასტაფიევსი, ზემლინსკისი, ლაიზანსი, ზირნისი, ისაკოვსი, ბლეიდელისი, ვერპაკოვსკისი, რუბინსი, რიმკუსი (შტოლცერსი 79)
მწვრთნელი: ალექსანდრ სტარკოვსი

გაფრთხილება: უმითი, ბლეიდელისი, რიმკუსი

მსაჯი: ანდერს ფრისკი (შვედეთი). 25 000 მაყურებელი



–შენოლ გიუნეში ბღვერით უცქერდა

# ლატვიამ თურქული გადაიტანა



ჯოჯოხეთგამოვლილ ლატვიელთა სიხარული...

**სტამბოლში** ზედიზედ განხორციელებულმა ტერორისტულმა აქტებმა თურქეთის ნაკრების წარუმატებლობა დაჩრდილა.

ლატვიის ნაკრებმა ტერაქტებს გაასწრო. ალექსანდრ სტარკოვსის გუნდი მსოფლიოს ბრინჯაოსნებს და „ჯოჯოხეთს" არ შეუშინდა. ოსმალებს 2:0 2:2-ად უქცია, რაც გმირობის ტოლფასია ათიათასობით თურქის ღრიანცელში, ტრიბუნებიდან საგნების სროლაში და სტამბოლში არსებულ არასტაბილურ ვითარებაში.

შენოლ გიუნეშს უკვე წამოაძახეს, რომ შარშანდელი მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ნაკრები უნდა გადაგეხალისებინა, რადგან ძირითადი შემადგენლობის ხუთი ფეხბურთელის არყოფნაში, ახალგაზრდებმა ისინი სრულფასოვნად ვერ შეცვალესო.

არადა, მატჩი თურქთათვის ისე დაიწყო, უკეთესს ვერც ინატრებდნენ. ორბურთიანი სხვაობით დაწინაურებულ მასპინძლებს პირველი ალიყური ლაიზანსმა აჭამა. საჯარიმოში ჩაწოდებულ ბურთზე ოსმალოთა ნაკრების ახალგაზრდა მცველმა დენიზმა გაიწია, მაგრამ ვერპაკოვსკისმა ოსტატურად ჩაუდგა კორპუსი და რუშთუს შემცვლელი ომერიც დაიბნა — 2:1.

ეს უკვე პლეი ოფიდან ლატვიელთა გასვლას ნიშნავდა დამხვდურებს დრო საკმარისი ჰქონდათ, მაგრამ არც მათ და არც შენოლ გიუნეშს რიგული 90 წუთი არ ეყოთ მანამდე უცნობი მეტოქის თამაშის შესასწავლად. თურქთა დამრიგებელმა გადამწყვეტ მომენტში ბალტიისპირელებს ვერაფერი დაუპირისპირა. ცხადია, შუქური და მისი ამალა კოლინკოს კარს უტევდა, მაგრამ ზურგის მოშიშვლებაც ვერ გარისკეს, რადგან მეორე გოლის გაშვების შემთხვევაში უკვე თავადაც ორის გატანა დასჭირდებოდათ. ოსმალები ბედისწერას ვერსად გაექცნენ. მარის ვერპაკოვსკისმა მეტოქის საჯარიმოსთან ბურთი მიიღო და თურქთა კაპიტანი ბიულენთი მეკარე ომერთან ერთად გააბითურა. ომერი კარიდან უშნოდ გამოვიდა, ბიულენთმაც ლატვიელის აშკარად წაქცევა არ ისურვა, მაგრამ ვერპაკოვსკისმა თითქმის წაქცეულმა ბურთს ჭვინტი საგოლედ წაჰკრა.

დარჩენილ დროში ალექსანდრ სტარკოვსის შეგირდები, რომლებმიც ფიზიკურად არაფრით ჩამოუვარდებოდნენ მეტოქეს, მასპინძელთა გააფთრებულ იერიშებს ღირსეულად გაუმკლავდნენ და სტამბოლი ამაყად დატოვეს.

შინ დაბრუნებულ გმირებს „ლატვიის ოქროს ბიჭები" უწოდეს, თურქები კი გუშინ ისევ მსაჯზე ლაპარაკობდნენ, პირველ გოლამდე ჩვენს სასარგებლოდ ჯარიმა არ დანიშნაო.

**როман თურქია**

---

### უელსი 0:1 რუსეთი (0:0)

ჯოუნსი, დილანი, ბარნარდი, მელვილი, გაბიდონი, სპიდი, ე. ჯონსონი (ერნშოუ 58), სეეიჯი, კუმასი (ბლეიქი 74), გიგზი, ჰართსონი
მწვრთნელი: მარკ ჰიუზი

მალაფეევი, ევსეევი, იგნაშევიჩი, ონოპკო, სენიკოვი, სმერტინი, ალენიჩევი, გუსევი, იზმაილოვი, ტიტოვი (რადიმოვი 59), ბულიკინი
მწვრთნელი: გიორგი იარცევი

გაფრთხილება: სევიჯი, ალენიჩევი, ბარნარდი, ბულიკინი, რადიმოვი

მსაჯი: მანუელ ენრიკე მეხუტო გონსალესი (ესპანეთი). 73 062 მაყურებელი

# რიგითი რაიანი არ ნებდება



მარკ ჰიუზი

**უგოლო** მოსკოვური მატჩის შემდეგ უელსი იმედიანად იყო, მაგრამ კარდიფულ გაზეთ „ვესტერნ მეილს" თუ დავესესხებით, „რუსულ რულეტკაში" არ გაუმართლა.

უელსელებმა რუსეთში მწვრთნელის დავალება ფრიადზე შეასრულეს, კარი მშრალად შეინახეს, მაგრამ როცა შინ საქმე შეტევაზე მიდგა, მასპინძლებს არსენალში მეტოქის დასაცხრილი იარაღი არ აღმოაჩნდათ. მარკ ჰიუზის შეგირდები შესარჩევი ტურნირის დასაწყისში აშკარად უკეთ გამოიყურებოდნენ. მაშინ ჰართსონს და გიგზს კრეიგ ბელამი უმშვენებდა გვერდს და შედეგსაც იმკიდნენ. ნიუკასლელის არყოფნა გუნდს ძალიან დაეტყო. ტაქტიკა იოლი გასაშიფრი გახდა.

მასპინძლებმა „მილენიუმზე" ერთფეროვნად ითამაშეს, თუმც ბრძოლის ჟინი ყოველთვის მოჭარბებულად ჰქონდათ და გვარიანი ოფლიც ღვარეს. ფაქტობრივად, მოედანზე მხოლოდ რაიან გიგზი თამაშობდა, დანარჩენები კი კარგად მუშაობდნენ. მანჩესტერელის კლასი, გამოცდილება და ტაქტიკა პორტუგალიის საგზურის მოსაპოვებლად საკმარისი არ გამოდგა.

უელსელთა საქმე მას შემდეგ უფრო გართულდა, ევსეევმა რომ გაიტანა.

მარკ ჰიუზის გუნდმა მცდელობა არ დააკლო, გიგზს ასპროცენტიანი მომენტიც ჰქონდა პირველ ტაიმში, თუმც კარის ხაზიდან ორიოდ მეტრში მყოფს ნაქებმა ცაციამ უღალატა — მისი დარტყმული ბურთი ძელს მოხვდა.

რუსებს შესვენების შემდეგ ხელფეხი გაეხსნათ, რადგან დამხვდურებს ორი გოლის გატანა სჭირდებოდათ და იძულებულნი იყვნენ გაერისკათ და ძალუმად შეეტიათ. სტუმრებმა კონტრიერიშებზე რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი შექმნეს, რომელთაგანაც მეკარესთან ბულიკინის პირისპირ გასვლაა გამოსარჩევი. მოსკოვის „დინამოს" ფორვარდმა კუთხეში დაუმიზნა, მაგრამ ჯოუნსმა სასწაულებრივ მოიგერია, რითაც თავისებს მატჩის გადარჩენის შანსი შეუნარჩუნა.



რაიან გიგზმა (№11) რუსებს ვერ აჯობა



ასე დაიტირეს უელსი

უელსელებმა თამაში ვერაფრით შეაფერადეს, გარდა იმისა, რომ ტემპს უმატეს, თუმც სიჩქარეში კიდევ უფრო მეტს სცოდავდნენ. თავის ნაჭუჭში ვერ იყო ჯონ ჰართსონი, რომელსაც თანაგუნდელისთვის თავით ბურთის დაგდება ისე კარგად ეხერხება, რომ ალბათ ამ საქმეში ბადალი არ ჰყავს. გუშინწინ ჰართსონისა და უელსის დღე არ იყო.

რაიან გიგზმა, რომელსაც ათიოდ დღის წინ 30 წელი შეუსრულდა, ნამატჩევს თქვა: „ჩემს ცხოვრებაში ყველაზე გულდასაწყვეტი ამბავი მოხდა, მაგრამ ახლა საკუთარ თავზე კი არა, მომავალზე ვფიქრობ. ფეხბურთში ყველაფერი ხდება. ჩვენ ამ გუნდით მსოფლიოს მომავალი ჩემპიონატის საგზურისთვის ვიბრძოლებთ".

**მაშა ხუციშვილი**

# 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

## პლეი ოფი. საპასუხო მატჩები

### ჰოლანდია 6:0 შოტლანდია (0:1)

1:0 სნეიდერი (14), 2:0 ოიერი (32), 3:0, 4:0 ვან ნისტელროი (37, 51), 5:0 დე ბური (65), 6:0 ვან ნისტელროი (67)

ვან დერ სარი, ოიერი (ფ. დე ბური 46), რაიციგერი, კოკუ, ბუმა (ზეედორფი 68), სნეიდერი, ვან დერ ვაარტი, დავიდსი, ვან დერ მეიდე, ოვერმარსი, ვან ნისტელროი (კლუივერტი 77)
**მწვრთნელი:** დიკ ადვოკაატი

დუგლასი, მაკნამარა, უილკი, პრესლი, ნეისმიტი (როსი 46), ფლეტჩერი, რაე, ბ. ფერგიუსონი, ნ. მაკკანი (მილერი 63), მაკფადენი, დიკოვი (კროუფორდი 46)
**მწვრთნელი:** ბერტი ფოგტსი

**გაფრთხილება:** ვან ნისტელროი, ფერგიუსონი, პრესლი, დიკოვი, ნეისმიტი, დავიდსი

**მსაჯი:** ლუბოშ მიხელი (სლოვაკეთი). 51 000 მაყურებელი

# ჩვენ დავბრუნდით!

**ჰოლანდია** 2002 წელს მსოფლიოს ჩემპიონატის მიღმა დარჩა. ჰოლანდია ორი წლის შემდეგ არაფრით დაუშვებდა იმას, რომ საფეხბურთო ფორუმის გარეშე ახლაც დარჩენილიყო. პორტუგალიაში ევროპის ჩემპიონატია და რაა ის ჩემპიონატი, თუ იქ ჰოლანდიამ ვერ ითამაშა?

ეს ჩემი პირადი სიმპათია არ გახლავთ ნარინჯისფრებისადმი, ეს საყოველთაო აზრია და ზემოთქმული უტრიალებდათ თავში უპირველესად თვით ჰოლანდიელებს.



რობერტ დუგლასს რუუდ ვან ნისტელროი მთელი ცხოვრება ცუდად მოაგონდება

„ამსტერდამ არენა" გადაივსო, 51 000 მოსეირე მთლიანად „ნარინჯისფრად" შეიღება, მხურვალე მხარდაჭერა არ მოჰკლებიათ ვან ნისტელროის და კომპანიას 90 წუთის მანძილზე და რა მიიღეს ქომაგებმა საპასუხოდ? ნიდერლანდელებმა მამაცი გულები კი არ დასერეს, დაბდღვნეს.

ბერტი ფოგტსმა, შოტლანდიელთა გერმანელმა თავკაცმა ნილაბი ალბათ, საბოლოოდ ჩამოიხსნა, მან პრესკონფერენციაზე საკუთარ უსუსურობაზე ილაპარაკა ადვოკაატს გამარჯვება მიულოცა: „გასახდელში შესულს ბიჭებისთვის არაფერი მითქვამს, ან რა უნდა მეთქვა. ყველანი გასუსულები, თავჩაქინდრულნი ისხდნენ. შაბათს, პირველი მატჩი ჩვენ გუნდურად, ყველამ მოვიგეთ, დღეს კი, მე დავმარცხდი, შოტლანდია არა."

დიკ ადვოკაატმა პრესკონფერენციაზე ცოტა ხნით დაიგვიანა, მილოცველთა „კლანჭებს" რომ დაეხსნა, ჰოლანდიელ ჟურნალისტებს შეუბღვირა და შეუტია: „აგერ, თქვენი ჰოლანდიის ნაკრები. ყველაფერი თავად ნახეთ."

და რა შუაში არიან აქ ჟურნალისტები? შუაში კი არა, თურმე თავში ყოფილან. მათ ჯერ „ჰემპდენ პარკზე" მარცხისთვის გაჰკენწლეს ადვოკაატი და ფეხბურთელები. მწვრთნელი კი სულაც გათათხეს, წაგებული მატჩის მერე ფეხბურთელებს გართობის ნება რატომ დართეო.

„დიახ, ასე იყო. ბიჭებს თავადვე ვუთხარი, ბარებში და კლუბებში წასულიყვნენ და მარცხი იქ გაექარვათ. ყველას ვაკონტროლებდი. შოტლანდიაში წასაგები არაფერი გვჭირდა, უბრალოდ, ფორტუნამ გვაქცია ზურგი. მეტოქის დიდი პატივისცემით მიუხედავად, გამოჩნდა, რომ ჰოლანდია შოტლანდიაზე ძალიან მაღლა დგას."

მედიაზე ყოფილა გაბრაზებული შემტევი ფლანგელი ნახევარმცველი ანდი ვან დერ მეიდეც. ინტერელი ანდი ერთ-ერთ გაზეთში დაწერილ სტატიას ალუშფოთებია, ვან დერ მეიდე შოტლანდიური ვისკით ისე გაილეშა, ფეხზე ძლივს იდგაო. არადა, თურმე: „იმ საღამოს მეგობარ გოგონასთან ერთად ვიყავი. წაგებისგან მიყენებული ტკივილი მან დამიამა."

მოკლედ, ადვოკაატმა ფეხბურთელები დაიცვა და ჟურნალისტე-



დიკ ადვოკაატი

ბი გალანძღა, ეს ხარბი დღევანდელი ჰოლანდიური მასმედიაა, იაფფასიან რეკლამებზე და ტყუილებზე რომ ხურდავდებიოო.

თვით თამაშზე კი რა უნდა ითქვას, მასპინძელთა მწვრთნელმა შემტევი ტაქტიკა ირჩია, ფლანგებზე რეაქტიულები — ოვერმარსი მარცხნივ და ვან დერ მეიდე მარჯვნივ გაამწესა, ვან დერ ვაარტი და სნეიდერი უკნიდან ეხმარებოდნენ ერთადერთ ბომბდამშენ ფორვარდ რუუდ ვან ნისტელროის.

და ვან ნისტელროიმაც დაუშინა, ჰეთ თრიქი მიითვალა. საწყალი რობერტ დუგლასი არც სხვებმა დაინდეს, ექვსიდან სამი სულაც სტანდარტულებიდან, ჯარიმებით გაუტანეს.

„სნეიდერმა გამაოცა — ისევ ადვოკაატი — ეს ბიჭი მოლდოვასთან პირველად ვათამაშე და დაგლიჯა. ახლა კი ფანტასტიკურად ითამაშა. უმთავრესი მიზანი მეტოქის თავიდანვე მოხრჩობა და სწრაფი გოლის შეგდება იყო, რაც მოვახერხეთ და ბიჭების უღრმესი მადლობელი ვარ."

**გიორგი ვაშაძიძე**

### სლოვენია 0:1 ხორვატია (1:1)

0:1 პრსო (61)

დაბანოვიჩი, ციპოტი (ბულაიჩი 90), კარიჩი, ვუგდალიჩი, კნავსი, შუკალო (რაკოვიჩი 69), ნ. ჩეჰი, პავლინი, აჩიმოვიჩი, რუდონია (კაპიჩი 46), ზაჰოვიჩი
**მწვრთნელი:** ბოჟან პრაშნიკარი

პლეტიკოშა, სრნა, შიმუნიჩი (ბაბიჩი 53), რ. კოვაჩი, ტუდორი, ჟივკოვიჩი, რაპაიჩი (ტომაში 69), როსო, ნ. კოვაჩი, პრსო (ლეკო 76), შოკოტა
**მწვრთნელი:** ოტო ბარიჩი

**გაფრთხილება:** კარიჩი, ტუდორი, ტუდორი, ლეკო
**გაძევება:** ტუდორი (59)

**მსაჯი:** ურს მაიერი (შვეიცარია). 9 000 მაყურებელი

# გამარჯობა პორტუგალია, ნახვამდის ოტო

## დაბრუნდა ბარიჩი, დახვდა მამიჩი

**კითხვა** — ვინ არის ახლა მთავარი კაცი ხორვატიაში, „მონაკოს" მეგოლე დადო პრსო თუ ეროვნული გუნდის მწვრთნელი ოტო ბარიჩი? აქ არგუმენტებს მოვიყვანთ და პასუხი თავადვე გაეცით: პრსო ის კაცია, ვინც გამარჯვების გოლი შეაგდო ლიუბლიანის „ცენტრალზე" და ხორვატიას სლოვენიასთან ორრაუნდიან ბრძოლაში გაამარჯვებინა. ბარიჩის გაწვრთნილმა გუნდმა კი ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის საგზური მოიპოვა. იქნებ ორივე ერთად? მათი უშუალო მეცადინეობით ხომ ხორვატები პორტუგალიაში მიდიან. დასკვნას, ცხადია, გააკეთებდით, ჩვენ კი გეტყვით, რომ...

გაიღვიძა გუშინ დილით შინ დაბრუნებულმა ოტო ბარიჩმა და გაზეთებიდან შეიტყო, რომ სულ მალე იგი ეროვნული გუნდის მწვრთნელი აღარ იქნება. მას ხორვატიის ფეხბურთის ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო აუმხედრდა და არა პირადად პრეზიდენტი.

გადაშალა კაცმა „ვეჩერნი ლისტი" და საბჭოს წევრის, ახლო წარსულში ხორვატიის ნაკრების მცველ იგორ შტიმაცის განცხადება წაიკითხა: „ჯერჯერობით ახალი კანდიდატურის ძიებაში ვართ, თუმც თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ოტო ბარიჩი მალე დატოვებს თანამდებობას."

აღმასრულებელი საბჭოს თავმჯდომარე ზდრავკო მამიჩმა მეორე პოპულარულ ხორვატიულ გამოცემა „იუტარნი ლისტს" სულაც პირდაპირ განუცხადა: „გამარჯობა პორტუგალია, ნახვამდის, ოტო". ანუ მამიჩმა ლამისაა, უკვე გადააყენოს ბარიჩი, მაგრამ...

სწორედ ეს მაგრამ ადარდებთ საბჭოელებს, მათ თვით ასოციაციის პრეზიდენტ ვლატკო მარკოვიჩის აზრი არ იციან. მარკოვიჩი კი ბარიჩის მომხრეა.

გუშინვე, დილით, ხორვატიულ ვებსაიტ „სპორტნეტზე" მარკოვიჩის სიტყვები გამოქვეყნდა: „ოტო ბარიჩმა ხორვატიას ისტორიული გამარჯვება მოუტანა. ევროპის ჩემპიონატზე ზედიზედ მესამედ ვითამაშებთ. ეს კი ჩვენნაირი პატარა ქვეყნისთვის ისტორიული მოვლენაა. ვერ გამიგია, რას ერჩიან ბარიჩს. კი, ბატონო, შესარჩევ ჯგუფში რიგი მატჩები ულიმღამოდ ჩავატარეთ და დაუგეგმავ პლეი ოფშიც მოვხვდით, მაგრამ დასახულ მიზანს ხომ მივაღწიეთ? ვერ ვხედავ მიზეზს, თუ რატომ არ უნდა იყოს ბარიჩი ნაკრების მწვრთნელი, მე მას ძველებურად ვენდობი."

და რა გითხრათ თამაშზე, რომელიც კაცნაკლულმა ხორვატიამ სლოვენიაში მოიგო? იუვენტუსელი მცველი იგორ ტუდორი ორი ყვითლის გამო მსაჯმა 59-ე წუთზე დაითხოვა მინდვრიდან და ორ წუთში პრსომაც შეაგდო. მონაკოელმა დადომ ტომისლავ შოკოტას ათიოდ მეტრიდან ძლიერად დარტყმულს დაამატა, ბურთი დაბანოვიჩმა ხელებში რომ ვერ შეიმაგრა, მაშინ.

სლოვენიას, ფაქტობრივად, არც ტუდორის გაძევებამდე და არც მერე მომენტი არ შეუქმნია, მაშინ, როცა ჯერ რობერტ კოვაჩი და მერე ჯოვანი როსო უმოწყალოდ „ბომბავდნენ" დაბანოვიჩს. ამის შემდეგ რაღაა გასაკვირი თუ პრსომაც საპორტუგალიო გაისროლა.

„25 ძლიერი და თანაბარი ძალის ფეხბურთელი მყავს. სამწუხაროდ, მათგან სამს მოუწევს შინ დარჩენა, უეფაში გასაგზავნი განაცხადი ხომ 22-კაციანი უნდა იყოს."



დადო პრსომ (№9) საპორტუგალიო გოლი გაიტანა

ოტო ბარიჩი სიხარულის მაგივრად კვლავაც საქმიანად საუბრობს.

სლოვენიელთა თავკაც ბოჟან პრაშნიკარს კი დანა პირს არ უხსნიდა, ერთადერთი რამ უთქვამს პრესკონფერენციაზე: „ძალიან იმედგაცრუებული ვარ."

**გიორგი ვაშაძიძე**

# 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

## პლეი ოფი. საპასუხო მატჩები

### ნორვეგია 0:3 ესპანეთი (1:2)

0:1 რაული (34), 0:2 ვისენტე (49), 0:3 ეჩებერია (55)

ე. იონსენი (ოლსენი 61), ბასმა, ლუნდეკვამი, რ. იონსენი, სტენსაასი, ივერსენი, ანდრესენი (ფ. იონსენი 73), ტ. ანდერსენი (ჰ. ფლო 46), სოლი, რიისე, ტ. ფლო
მწვრთნელი: ნილს-იოჰან სემბი

კასილიასი, სალგადო, ელგერა, სესარი, პუიოლი, ხაბი ალონსო, ალბელდა (ბარახა 84), ეჩებერია (ხოაკინი 77), ვალერონი (გუტი 73), ვისენტე, რაული
მწვრთნელი: ინაკი საესი

გაფრთხილება: ალბელდა, ივერსენი

მსაჯი: პიერლუიჯი კოლინა (იტალია). 25 106 მაყურებელი

# 3:0 ყინვის წინააღმდეგ

ვერც წინასამატჩო მეომრულმა განწყობამ, ვერც ოსლოს „ულევაალის" ტრიბუნებზე შეკრებილმა 25 ათასმა „ვიკინგმა" და ვერც მშობლიურმა სიცივემ ვერ შეუშალა ხელი ნორვეგიის ნაკრების დიდი ანგარიშით განადგურებას. ინაკი საესის ესპანეთის ეროვნულმა გუნდმა ევრო 2004-ის შესარჩევი ეტაპის ნილს იოჰან სემბის შეგირდებს მცირე საფეხბურთო აუტოდაფე მოუწყო და პორტუგალიაში საბრძოლველად გამწესებულთა რიცხვს ღირსეულად შეუერთდა.

სკანდინაველებმა წინა შაბათს ვალენსიაში ოდენ 1:2 წააგეს და ამის გამო ესპანელთა სტუმრობას განსაკუთრებული იმედით ელოდებოდნენ. თუმცა სტუმარსა და სიცივისგან შეწუხებულს უფრო მასპინძელი გუნდი წააგავდა — მთელი ორი ტაიმის განმავლობაში „ულევალზე" მხოლოდ რაული, ვალერონი და კომპანია დათარეშობდა. ინაკი საესმა, როგორც მოსალოდნელი იყო, ამ მატჩისთვის რამდენიმე ცვლილება განახორციელა. დისკვალიფიცირებული კარლოს მარჩენას ნაცვლად სესარი ათამაშა, ხოსე რეიესი ვისენტემ შეცვალა, ხოლო ფერნანდო ტორესისა და რუბენ ბარახას მაგივრად მოედანზე ხუან კარლოს ვალერონი და ხაბი ალონსო გავიდნენ.

ნორვეგიელებმა თამაში მძაფრი იერიშებით დაიწყეს და უკვე ნახსენები საომარი შემართების ხარჯზე რამდენიმე სახიფათო ეპიზოდის შექმნაც მოახერხეს. განსაკუთრებით იონ არნე რიისე აქტიურობდა, რომლის კასტილიელთა საჯარიმოში ხშირმა სტუმრობამ იკერ კასილიასი გვარიანად შეაშფოთა.

პირველი ოცი წუთის შემდეგ კი „ულევალი" ესპანელთა უწყვეტი შტურმის სევდიანი მოთვალთვალე შეიქნა. რომ არა „ვიკინგების" ჩაუქი გოლკიპერი იონსენი, ანგარიში პირველ ტაიმში კატასტროფული იქნებოდა, მაგრამ დამხვდურთა მეკარის ვაჟკაცობის გამო მოწინააღმდეგენი შესვენებაზე მხოლოდ ერთბურთიანი სხვაობით გავიდნენ — რაულმა 34-ე წუთზე ვისენტეს მშვენიერი გადაცემა არანაკლებ მშვენიერ გოლად აქცია — 1:0. პირინეული სცენარი არც მეორე ნახევარში შეცვლილა. 49-ე წუთზე ვისენტემ კრისტერ ბასმას შეცდომით ისარგებლა და იქაურ ტაბლოზეც კაშკაშა 2:0 აინთო. ცოტა ხნის მერე კი ნორვეგიელთა ზემოთ ნაქებმა მეკარემ შესცოდა, მოგერიებისას ბურთი ეჩებერიას მოარტყა და მესამე გოლით „დასაჩუქრდა". „წაგება არ შეიძლებოდა, ამ შეხვედრაში უფრო ძლიერი ვიყავით და ეს დავამტკიცეთ კიდეც. პორტუგალიაშიც მნიშვნელოვან გამარჯვებებს მივაღწევთ, განაცხადა ნამატჩევს რაულ გონსალეს ბლანკომ. ძლიერთა დამრიგებელმა ინაკი საესმა კი თავისი სიხარული ასე გამოთქვა: „ნაკრებმა ხანგრძლივი დროის განმავლობაში ერთ-ერთი საუკეთესო თამაში ჩაატარა. ბიჭებმა მთელი 90 წუთის მანძილზე ბრწყინვალედ იბურთავეს და მოგების შანსი ხელიდან არ გაუშვიათ. ჩემი გუნდის დღევანდელი გამარჯვებით უაღრესად კმაყოფილი ვარ".

**ლადო ხომერიკი**



რაული და ვისენტე: ესპანელთა გამარჯვების სულისჩამდგმელები









ასეთ ამბავს იშვიათად ნახავთ. შეცვლაზე შესულმა ნორვეგიელთა მეკარე ფროდე ოლსენმა მოედანზე შევარდნილი ოსლოელი ქომაგი ტრიბუნაზე ასე გაისტუმრა

# საესის მეომარი

## ვალერონის სუსხიანი მოგონება



*დეპორტივოელი ხუან კარლოს ვალერონი ნორვეგიულ „ულევალზე" ესპანეთის ნაკრების სამბურთიანი ფიესტის ერთ-ერთი მთავარი მონაწილე იყო. მიუხედავად იმისა, რომ გალისიელმა გოლის გატანა ვერ მოახერხა, მისი ძალუმი თამაშით მტერი და მოყვარე (სკანდინავიური თუ პირინეული მედია) ერთნაირად აღაფრთოვანა. ვალერონს ესპანური „ლიბრედირექტო" ესაუბრა*

— ნორვეგიის ნაკრებს უჩვეულოდ იოლად სძლიეთ. მოულოდნელი იყო თქვენთვის მეტოქის აგრერიგად უნდილი ბურთაობა?

— ვფიქრობ, რომ მეტოქეზე გაცილებით ძლიერად ვითამაშეთ და ესპანეთის ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე დამსახურებულად გავიდა. ნორვეგიელთა სისუსტემ კი მართლაც გაგვაკვირვა, მათ ხომ 4 დღის წინ ვალენსიაში საკმაოდ დიდი წინააღმდეგობა გაგვიწიეს.

— ყოველ შემთხვევაში, ამოცანა ფრიად წარმატებით გადაჭერით.

— გეთანხმებით. მთელი თამაშის განმავლობაში მოედანს ჩვენ ვაკონტროლებდით და ამან მასპინძლებს საბოლოოდ ფარ-ხმალი დააყრევინა. მატჩის მსვლელობა და შედეგიც ამას მოწმობს.

— მატჩამდე ბევრს ლაპარაკობდნენ საარაკო ნორვეგიულ ყინვაზე. „ულევალზე" ძალიან ციოდა?

— არც ისეთი მაგარი ყინვა ყოფილა, როგორც წინასწარ გვეუბნებოდნენ. მშვენივრად შევძელით სუსხის ატანა.

— ესპანეთის ნაკრები პორტუგალიაშიც ძლიერად ითამაშებს?

— ვნახოთ, მოვლენები როგორ წარიმართება. მთავარია, სიმშვიდე და საკუთარი თავის რწმენა არ დავკარგოთ. დანარჩენს წინასწარ ვერაფერს მოგახსენებთ.

— მაშინ მოკლედ მიპასუხეთ — ესპანეთი ჩემპიონატის ფავორიტად ითვლება?

— პირველობა ვის არ უნდა, ჩვენც ჩემპიონობისთვის ვიბრძოლებთ, თუმცა ვიმეორებ, წინასწარ ლაპარაკი მიჭირს.

— ორი საპლეიოფო შეხვედრის შემდეგ უკვე შეიძლება, შესაბამისი დასკვნები გავაკეთოთ. ესპანეთის ნაკრებმა ნორვეგია დიდი უპირატესობით დამარცხა, აქ მარტო ანგარიშს არ ვგულისხმობ.

— მოწინააღმდეგეს უზარმაზარი არა, მაგრამ თვალში საცემი უპირატესობით ვაჯობეთ. ევროპული პლეიოფები სახუმარო საქმე არ არის. ნორვეგია კარგი გუნდია, მაგრამ ბევრ ასპექტში ჩამოგვრჩა.

— ვალენსიური მატჩიდან „ულევალის" შერკინება რითი განსხვავდება?

— ჩვენს მიერ გატანილი ბურთების რაოდენობით. სხვა ახალი ოსლოში არაფერი ყოფილა. განა „მესტალიაზეც" მთელი თამაშის მანძილზე ესპანეთი არ უტევდა? უბრალოდ, მაშინ ბედმა საოცრად გაგვწირა და სტუმართა კარი ორზე მეტჯერ ვეღარ ავილეთ.

— **ინაკი საესი ალბათ განსაკუთრებით ბედნიერი იქნება.**

— ესპანეთი ამ გამარჯვებას თავის დამრიგებელს უძღვნის. თქვენი გაზეთის მეშვეობით ამას მთელი ნაკრების სახელით ვაცხადებ. საესმა წინა შეხვედრებში უამრავი უსამართლო ბრალდება გადაიტანა, მაგრამ ფეხბურთელებს ყოველთვის გვჯეროდა მისი პროფესიონალიზმის და ყველაზე საჭირო ბრძოლაც მწვრთნელის მითითებათა ზუსტი შესრულებით მოვიგეთ.

### ევროპის 2004 წლის ჩემპიონატი

**განთესილები**

(ჩემპიონობაზე „უილიამ ჰილის" კოეფიციენტებით)

| | |
|---|---|
| **I კალათა** | |
| პორტუგალია | 6-1 |
| საფრანგეთი | 100-30 |
| შვედეთი | 25-1 |
| ჩეხეთი | 9-1 |
| **II კალათა** | |
| იტალია | 11-2 |
| ესპანეთი | 7-1 |
| ინგლისი | 7-1 |
| გერმანია | 14-1 |
| **III კალათა** | |
| ჰოლანდია | 7-1 |
| ხორვატია | 66-1 |
| რუსეთი | 66-1 |
| დანია | 25-1 |
| **IV კალათა** | |
| ბულგარეთი | 66-1 |
| შვეიცარია | 66-1 |
| საბერძნეთი | 50-1 |
| ლატვია | 200-1 |

*ფინალური ეტაპის წილისყრა გაიმართება 30 ნოემბერს ლისაბონში*

## 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. სამხრეთ ამერიკა. IV ტური

# უბედური შემთხვევა გაუგებრობის გამო

## გიჟია, უჩხვლიტეთ რამდენიც გინდათ

**ბრაზილია 3:3 ურუგვაი**

**1:0 კაკა (20), 2:0 რონალდო (29), 2:1, 2:2 ფორლანი (57, 76), 2:3 ჟილბერტო სილვა (79ს.კ.), 3:3 რონალდო (87)**
**ბრაზილია: დიდა, კაფუ, ლუსიო, როკე ჟუნიორი, ჟუნიორი, რენატო (ჟუნინიო პერნამბუკანო 79), ჟილბერტო სილვა, ზე რობერტო, კაკა (ალექსი 72), რონალდო, რივალდო (ლუის ფაბიანო 46)**
**ურუგვაი: მუნუა, მ. რომერო (რეკობა 46), ბიზერა, დ. ლოპესი, ლაგო, მ. სოსა, აბეიხონი (რ. ნუნიესი 36), ლიგერა, ორნოსი (ჩევანტონი 55), ფორლანი, ზალაიეტა**
**მსაჯი: ჰორაციო ელიზონდო (არგენტინა)**
**30 000 მაყურებელი**

მსოფლიოს ჩემპიონებმა ორ მატჩში მხოლოდ ორი ქულის გამოჩარხვა შეძლეს, რაც კარლოს ალბერტო პარეირას გაკრიტიკების საბაბი გახდა. ბრაზილიელთა მწვრთნელი ურუგვაისთან შეხვედრის შემდეგ ოდნავ გაოგნებული იყო: „ჩემს კარიერაში მსგავსი რამ არასოდეს მომხდარა. სრულიად ალოგიკური შედეგია. ჩვენ სამზე მეტი გოლის გატანა პირველ ტაიმშივე შეგვეძლო, მაგრამ უპირატესობა მოულოდნელად დავკარგეთ და გამარჯვებაში დარწმუნებულნი, მარცხს ძლივს გადავურჩით. ეს არის ერთგვარი უბედური შემთხვევა ფეხბურთში. 2:0-ზე დამშვიდება არ შეიძლება, თუმცა მაინც მიხარია, რომ შესვენებამდე გუნდმა ბრწყინვალედ ითამაშა".

„ჩვენ გულგრილობის გამო დავისაჯეთ" — დასძინა კაპიტანმა კაფუმ.

პირველ ნახევარში ბრაზილიელებმა მეტოქე ყოველმხრივ დაჩაგრეს. რივალდო, რონალდო და კაკა ურუგვაელთა საჯარიმოში ბატონობდნენ. მათი თარეში ორი გოლით დასრულდა. რონალდომ კაკა საგოლე პასით დაასაჩუქრა და მილანელმა გუსტავო მუნუას გაუტანა. მალე „კიჭამაც" იხეირა. ბურთი მოედნის ცენტრიდან მიიღო და ურუგვაელ მეკარეს თავზე გადაავლო. რეალელს კიდევ რამდენიმე კარგი მომენტი რომ გამოეყენებინა, შესვენებამდე ჰეთ თრიქს გაიფორმებდა.

ურუგვაელთა მწვრთნელმა ხუან რამონ კარასკომ შესარჩევი ტურნირის დაწყებამდე განაცხადა, შემტევ ფეხბურთს ვითამაშებთ, მსოფლიოს შარშანდელ ჩემპიონატზე დაცვაში შეყუჟული გუნდი რომ ნახეთ, ის ურუგვაი დაივიწყეთო.

კარასკომ ჩილესთან მოგებული მატჩის შემდეგ ძირითადი შემადგენლობის ხუთი ფეხბურთელი საბრაზილიოდ შეცვალა. სათადარიგოთა სკამზე ალვარო რეკობა და მთავარმეგოლე ხავიერ ჩევანტონი დასვა. გერმან ორნოსის, მარსელო ზალაიეტასა და დიეგო ფორლანის საპირველტაიმო მცდელობამ მხოლოდ ერთი რეალური საგოლე მომენტი შექმნა. ფაქტობრივად, ურუგვაელთა თავკაცმა სიტყვა გატეხა, მაგრამ შესვენებისას შეცდომა გამოასწორა.

მცველ მარსელო რომეროს ალვარო რეკობა ჩაუნაცვლა, ორნოსს კი — ხავიერ ჩევანტონი, რომელმაც შესარჩევ მატჩებში ოთხი გოლი გაიტანა.

ცვლილებებმა მეორე ნახევრის დასაწყისშივე გაამართლა. თეთრჰალსტუხიანი კარასკოს ზეიმი დიეგო ფორლანის გოლით დაიწყო. თამაშში რეკობასა და ჩევანტონის ჩართვამ მასპინძელთა დაცვა დაასაქმა. როკე ჟუნიორი შეცდა, ბურთი ჩევანტონის თავიდან ფორლანს მიუგორდა და მანჩესტერელმა დიდას გაუტანა. გოლიდან დაახლოებით ოცი წუთი იყო გასული, როცა იღბალი კვლავ დიეგო ფორლანს მიემხრო. ნუნიესს დარტყმა არ გამოუვიდა, მაგრამ ბურთმა ამჯერად უკვე მანჩესტერელი ფორვარდის თავი მოძებნა და კვლავ ბრაზილიელთა კარში აღმოჩნდა.

მასპინძლები, უპირატესობა თვალსა და ხელს შუა რომ გაუქრათ, აიჭრნენ და მეტოქის შეტევებს ქაოსურად იგერიებდნენ. „კუთხურზე ბურთის მოსაგერიებლად ავხტი, როცა დიდას ხმა გავიგონე, გაუშვი, ჩემიაო, მაგრამ გვიან იყო და თავით საკუთარ კარში გავიტანე" — თქვა ნამატჩევს ჟილბერტო სილვამ, რომელმაც ბრაზილია კინაღამ ისტორიული მარცხის წინაშე დააყენა — შესარჩევ ტურნირში პენტაკამპეონებს შინ თამაში არ წაუგიათ.

ხუან რამონ კარასკო ეგებ სამშობლოში გმირად ჩასვლას აპირებდა, მაგრამ მისი საზეიმო გეგმა რონალდომ ჩაშალა, რომელმაც ზე რობერტოსგან მიღებულ ბურთს საჯარიმოს ხაზიდან მადლიანად დაჰკრა და გაათანაბრა. დარჩენილ დროში ბრაზილიელებს გამარჯვების გამოგლეჯაც შეეძლოთ. შეცვლაზე შესულ ჟუნინიოს დარტყმული სტუმართა მეკარემ აუღო, რონალდომ კი ვარდნაში თავურით ბურთი ძელს მოარტყა.





ურუგვაელმა ფანმა რონალდოს და მთელ ბრაზილიას 1950 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალი შეახსენა. მაშინ ურუგვაიმ „მარაკანაზე" ბრაზილია 2:1 დაამარცხა

**კოლუმბია 1:1 არგენტინა**

**0:1 კრესპო (28), 1:1 პაბლო ანხელი (48)**
**კოლუმბია: ო. კორდობა, გ. მარტინესი, ი. კორდობა, იეპესი, ვივეროსი, ვიაფარა, ლოზანო (ბოლანო 21), პატინო (არიაგა 46), გრისალესი, პაბლო ანხელი, მონტოია (ბეჩერა 72)**
**არგენტინა: პ. კაბალიერო, კიროგა, რ. აიალა, ვ. სამუელი, პლასენტე, ხ. ძანეტი, ალმეიდა, კილი გონსალესი, აიმარი (დალესანდრო 71), კრესპო (სავიოლა 71), ს. დელგადო (ვერონი 46)**
**მსაჯი: კარლოს სიმონი (ბრაზილია)**
**30 000 მაყურებელი**

შესარჩევ ტურნირში ზედიზედ სამი მარცხის შემდეგ ფრანსისკო მატურანამ საარგენტინოდ გუნდი თითქმის მთლიანად გადაახალისა. ვენესუელასთან შინ წაგების გამო კოლუმბიელთა თავკაცის მოხსნას აპირებდნენ, მაგრამ მისმა ცვლილებებმა გაამართლა და ფავორიტად მიჩნეულ არგენტინასთან ფრეს მიაღწია.

ფარიდ მონდრაგონის ნაცვლად ძირითად შემადგენლობაში ოსკარ კორდობა გამოჩნდა, რომლის ერთი შეცდომა მასპინძლებს გოლად დაუჯდათ, თუმც „ბეშიქთაშის" მეკარემ მატჩის განმავლობაში მრავლად ბურთები მოიგერია.

თავის მხრივ, მარსელო ბიელსას რჩეულებში კვლავ ვერ მოხვდნენ ხუან სებასტიან ვერონი და ხავიერ სავიოლა. ძირითად თერთმეტეულში თამაში ბოლივიასთან გოლის გამტან ანდრეს დალესანდროსაც არ ეღირსა. ეს სამეული ბიელსამ გუნდს მეორე ტაიმში მაშინ შეაშველა, როცა არგენტინას შეტევაში გაუჭირდა.

სტუმრები, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კორდობას შეცდომის წყალობით დაწინაურდნენ. მეკარემ საჯარიმოდან უშნოდ მოიგერია ბურთი, რომელიც მცველს კეფაში მოხვდა და კრესპოს მიუგორდა. მუდამ მეტოქის კარის სიახლოვეს მოხეტიალე ჩელსელს მეტი არც უნდოდა, ამით უმალ ისარგებლა და ანგარიში გახსნა.

ფრანსისკო მატურანამ შესვენებისას იაირო პატინოს ნაცვლად მოედანზე ეულარიო არიაგა შეუშვა და მასპინძელთა შეტევები გაცილებით ორგანიზებული გახდა, ვიდრე პირველ ტაიმში.

სწორედ მისი შესვლიდან ორიოდ წუთში დამხვდურებმა კუთხური მოინადირეს, რომელიც დავიდ მონტოიამ შეასრულა და „ასტონ ვილას" ფორვარდმა ხუან პაბლო ანხელმა ბურთს ბადეში მიუჩინა ადგილი. ანხელს სამი ქულის გამოწურვაც შეეძლო, როცა ფრედი გრისალესის დარტყმულს და კაბალიეროს მოგერიებულ ბურთს მიუსწრო, მაგრამ ხელსაყრელი მომენტი სასწაულებრივ გაანიავა.

მეორე ნახევრის დასაწყისში მოედანზე შესულ ხუან სებასტიან ვერონს მარსელო ბიელსამ მოგვიანებით ანდრეს დალესანდრო და და ხავიერ სავიოლა დააწია, თუმც არგენტინელთა თამაშს მათი დახმარება მაინცდამაინც არ დასტყობია.

კოლუმბიამ პირველი ქულა მოიპოვა, რაც მწვრთნელის პოსტზე ფრანსისკო მატურანას დატოვების შანსებს მცირედით გაზრდის. არგენტინელთა თავკაცს კი კრიტიკოსებს მოუმრავლებს, რადგან ვერ სძლია გუნდს, რომელსაც თვით მაჩანჩალა ვენესუელამ და ბოლივიამაც მოუგეს.

| 19.00 | 5313 | ევერტონი-ვულვერჰემპტონი | 1,75 | 1,85 |
| 19.00 | 5314 | ლიდსი-ბოლტონი | 1,7 | 1,9 |
| 19.00 | 5315 | ლესტერი-ჩარლტონი | 1,7 | 1,9 |
| 19.00 | 5316 | მიდლსბრო-ლივერპული | 1,7 | 1,9 |
| 19.00 | 5317 | ნიუკასლი-სიტი | 1,7 | 1,9 |
| 19.00 | 5318 | საუთჰემპტონი-ჩელსი | 1,7 | 1,9 |
| 18.30 | 5319 | მიუნხენი-ბაიერნი | 1,7 | 1,9 |
| 18.30 | 5320 | დორტმუნდი-ლევერკუზენი | 1,6 | 2,0 |
| 18.30 | 5321 | შალკე-ჰანზა | 1,65 | 1,95 |
| 18.30 | 5322 | შტუტგარტი-ჰანოვერი | 1,75 | 1,85 |
| 18.30 | 5323 | ვერდერი-ბოხუმი | 1,7 | 1,9 |
| 18.30 | 5324 | კიოლნი-ჰამბურგი | 1,55 | 2,1 |
| 18.30 | 5325 | ვოლფსბურგი-მიონხენგლადბახი | 1,7 | 1,9 |
| 21.00 | 5326 | მოდენა-იუვენტუსი | 1,7 | 1,9 |
| 23.30 | 5327 | ინტერი-რეჯინა | 1,75 | 1,85 |
| 22.30 | 5328 | სოსიედადი-მალიორკა | 1,65 | 1,95 |
| 22.30 | 5329 | ბეტისი-დეპორტივო | 1,65 | 1,95 |
| 00.30 | 5330 | ვილიარეალი-ბარსელონა | 1,6 | 2,0 |
| | | 23 ნოემბერი | | |
| 20.05 | 5331 | ტოტენჰემი-ასტონ ვილა | 1,75 | 1,85 |
| 20.30 | 5332 | კაიზერსლაუტერნი-პერტა | 1,6 | 2,0 |
| 20.30 | 5333 | ფრაიბურგი-აინტრახტი | 1,65 | 1,95 |
| 18.00 | 5334 | ანკონა-ბრეშა | 1,65 | 1,95 |
| 18.00 | 5335 | ბოლონია-რომა | 1,6 | 2,0 |
| 18.00 | 5336 | ემპოლი-პარმა | 1,65 | 1,95 |
| 18.00 | 5337 | ლაციო-პერუჯა | 1,7 | 1,9 |
| 18.00 | 5338 | ლეჩე-სამპდორია | 1,7 | 1,9 |
| 18.00 | 5339 | უდინეზე-სიენა | 1,65 | 1,95 |
| 23.30 | 5340 | კიევო-მილანი | 1,6 | 2,0 |
| 20.00 | 5341 | ვალიადოლიდი-ატლეტიკო | 1,65 | 1,95 |
| 20.00 | 5342 | მალაგა-ოსასუნა | 1,65 | 1,95 |
| 20.00 | 5343 | ესპანიოლი-სევილია | 1,65 | 1,95 |
| 20.00 | 5344 | სელტა-ბილბაო | 1,6 | 2,0 |
| 20.00 | 5345 | რასინგი-სარაგოსა | 1,6 | 2,0 |
| 22.00 | 5346 | რეალი-ალბასეტე | 1,9 | 1,7 |
| 24.00 | 5347 | მურსია-ვალენსია | 1,65 | 1,95 |
| | | 24 ნოემბერი | | |
| 24.00 | 5348 | ფულემი-პორტსმუთი | 1,75 | 1,85 |

## I ტაიმის შედეგი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 22 ნოემბერი | | | | | | |
| 16.30 | 5011 | მანჩესტერი-ბლექბერნი | 1,4 | 3,4 | 8,0 | 1 | 1,19 | 2,38 |
| 19.00 | 5012 | ბირმინგემი-არსენალი | 4,6 | 2,15 | 2,25 | 1,46 | 1,51 | 1,09 |
| 19.00 | 5013 | ევერტონი-ვულვერჰემპტონი | 2,1 | 2,15 | 5,3 | 1,06 | 1,5 | 1,52 |
| 19.00 | 5014 | ლიდსი-ბოლტონი | 2,7 | 2,1 | 3,5 | 1,18 | 1,52 | 1,31 |
| 19.00 | 5015 | ლესტერი-ჩარლტონი | 3,0 | 2,1 | 3,2 | 1,23 | 1,54 | 1,26 |
| 19.00 | 5016 | მიდლსბრო-ლივერპული | 3,5 | 2,1 | 2,7 | 1,31 | 1,52 | 1,18 |
| 19.00 | 5017 | ნიუკასლი-სიტი | 2,2 | 2,15 | 4,8 | 1,08 | 1,5 | 1,48 |
| 19.00 | 5018 | საუთჰემპტონი-ჩელსი | 5,0 | 2,15 | 2,15 | 1,5 | 1,5 | 1,07 |
| 18.30 | 5019 | მიუნხენი-ბაიერნი | 5,6 | 2,2 | 2,0 | 1,57 | 1,47 | 1,04 |
| 18.30 | 5020 | დორტმუნდი-ლევერკუზენი | 2,5 | 2,1 | 3,8 | 1,14 | 1,5 | 1,35 |
| 18.30 | 5021 | შალკე-ჰანზა | 1,95 | 2,25 | 5,6 | 1,04 | 1,44 | 1,6 |
| 18.30 | 5022 | შტუტგარტი-ჰანოვერი | 1,75 | 2,45 | 6,0 | 1,02 | 1,35 | 1,73 |
| 18.30 | 5023 | ვერდერი-ბოხუმი | 1,9 | 2,25 | 6,0 | 1,03 | 1,44 | 1,63 |
| 18.30 | 5024 | კიოლნი-ჰამბურგი | 3,0 | 2,1 | 3,2 | 1,23 | 1,54 | 1,26 |
| 18.30 | 5025 | ვოლფსბურგი-მიონხენგლადბახი | 1,85 | 2,3 | 6,0 | 1,02 | 1,41 | 1,66 |
| 21.00 | 5026 | მოდენა-იუვენტუსი | 5,0 | 2,15 | 2,15 | 1,5 | 1,5 | 1,07 |
| 23.30 | 5027 | ინტერი-რეჯინა | 1,45 | 3,2 | 8,0 | 1 | 1,22 | 2,28 |
| 22.30 | 5028 | სოსიედადი-მალიორკა | 2,15 | 2,15 | 5,0 | 1,07 | 1,5 | 1,5 |
| 22.30 | 5029 | ბეტისი-დეპორტივო | 3,2 | 2,1 | 3,0 | 1,26 | 1,54 | 1,23 |
| 00.30 | 5030 | ვილიარეალი-ბარსელონა | 3,4 | 2,1 | 2.8 | 1,29 | 1,53 | 1,19 |
| | | 23 ნოემბერი | | | | | | |
| 20.05 | 5031 | ტოტენჰემი-ასტონ ვილა | 2,35 | 2,1 | 4,4 | 1,1 | 1,53 | 1,42 |
| 20.30 | 5032 | კაიზერსლაუტერნი-პერტა | 2,5 | 2,1 | 3,8 | 1,14 | 1,5 | 1,35 |
| 20.30 | 5033 | ფრაიბურგი-აინტრახტი | 2,05 | 2,2 | 5,3 | 1,06 | 1,47 | 1,35 |
| 18.00 | 5034 | ანკონა-ბრეშა | 3,0 | 2,05 | 3,3 | 1,21 | 1,57 | 1,26 |
| 18.00 | 5035 | ბოლონია-რომა | 4,8 | 2,05 | 2,3 | 1,43 | 1,55 | 1,08 |
| 18.00 | 5036 | ემპოლი-პარმა | 4,6 | 2,05 | 2,35 | 1,41 | 1,55 | 1,09 |
| 18.00 | 5037 | ლაციო-პერუჯა | 1,7 | 2,5 | 6,5 | 1,01 | 1,34 | 1,8 |
| 18.00 | 5038 | ლეჩე-სამპდორია | 2,9 | 2,05 | 3,4 | 1,2 | 1,56 | 1,27 |
| 18.00 | 5039 | უდინეზე-სიენა | 2,2 | 2,1 | 5,0 | 1,07 | 1,52 | 1,47 |
| 23.30 | 5040 | კიევო-მილანი | 4,8 | 2,05 | 2,3 | 1,43 | 1,55 | 1,08 |
| 20.00 | 5041 | ვალიადოლიდი-ატლეტიკო | 2,9 | 2,1 | 3,3 | 1,21 | 1,54 | 1,28 |
| 20.00 | 5042 | მალაგა-ოსასუნა | 2,45 | 2,05 | 4,2 | 1,11 | 1,54 | 1,37 |
| 20.00 | 5043 | ესპანიოლი-სევილია | 3,2 | 2,05 | 3,1 | 1,24 | 1,57 | 1,23 |
| 20.00 | 5044 | სელტა-ბილბაო | 2,45 | 2,05 | 4,2 | 1,11 | 1,54 | 1,37 |
| 20.00 | 5045 | რასინგი-სარაგოსა | 2,2 | 2,15 | 4,8 | 1,08 | 1,5 | 1,48 |
| 22.00 | 5046 | რეალი-ალბასეტე | 1,2 | 4,8 | 9,0 | 1 | 1,05 | 3,13 |
| 24.00 | 5047 | მურსია-ვალენსია | 5,0 | 2,15 | 2,15 | 1,5 | 1,5 | 1,07 |
| | | 24 ნოემბერი | | | | | | |
| 24.00 | 5048 | ფულემი-პორტსმუთი | 2,3 | 2,1 | 4,6 | 1,09 | 1,53 | 1,44 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | 22 ნოემბერი | | |
| 16.30 | 5411 | მანჩესტერი-ბლექბერნი | 1,2 | 4,0 |
| 19.00 | 5412 | ბირმინგემი-არსენალი | 2,5 | 1,55 |
| 19.00 | 5413 | ევერტონი-ვულვერჰემპტონი | 1,45 | 2,8 |
| 19.00 | 5414 | ლიდსი-ბოლტონი | 1,8 | 2,0 |
| 19.00 | 5415 | ლესტერი-ჩარლტონი | 1,9 | 1,9 |
| 19.00 | 5416 | მიდლსბრო-ლივერპული | 2,0 | 1,8 |
| 19.00 | 5417 | ნიუკასლი-სიტი | 1,55 | 2,5 |
| 19.00 | 5418 | საუთჰემპტონი-ჩელსი | 2,6 | 1,5 |
| 18.30 | 5419 | მიუნხენი-ბაიერნი | 2,8 | 1,45 |
| 18.30 | 5420 | დორტმუნდი-ლევერკუზენი | 1,75 | 2,1 |
| 18.30 | 5421 | შალკე-ჰანზა | 1,45 | 2,8 |
| 18.30 | 5422 | შტუტგარტი-ჰანოვერი | 1,3 | 3,4 |
| 18.30 | 5423 | ვერდერი-ბოხუმი | 1,4 | 3,0 |
| 18.30 | 5424 | კიოლნი-ჰამბურგი | 1,9 | 1,9 |
| 18.30 | 5425 | ვოლფსბურგი-მიონხენგლადბახი | 1,4 | 3,0 |
| 21.00 | 5426 | მოდენა-იუვენტუსი | 2,5 | 1,55 |
| 23.30 | 5427 | ინტერი-რეჯინა | 1,2 | 4,0 |
| 22.30 | 5428 | სოსიედადი-მალიორკა | 1,5 | 2,6 |
| 22.30 | 5429 | ბეტისი-დეპორტივო | 1,95 | 1,85 |
| 00.30 | 5430 | ვილიარეალი-ბარსელონა | 2,0 | 1,8 |
| | | 23 ნოემბერი | | |
| 20.05 | 5431 | ტოტენჰემი-ასტონ ვილა | 1.65 | 2,3 |
| 20.30 | 5432 | კაიზერსლაუტერნი-პერტა | 1.75 | 2,1 |
| 20.30 | 5433 | ფრაიბურგი-აინტრახტი | 1,5 | 2,6 |
| 18.00 | 5434 | ანკონა-ბრეშა | 1,85 | 1,95 |
| 18.00 | 5435 | ბოლონია-რომა | 2,3 | 1,65 |
| 18.00 | 5436 | ემპოლი-პარმა | 2.2 | 1,7 |
| 18.00 | 5437 | ლაციო-პერუჯა | 1,25 | 3,7 |
| 18.00 | 5438 | ლეჩე-სამპდორია | 1,85 | 1,95 |
| 18.00 | 5439 | უდინეზე-სიენა | 1,5 | 2,6 |
| 23.30 | 5440 | კიევო-მილანი | 2,3 | 1,65 |
| 20.00 | 5441 | ვალიადოლიდი-ატლეტიკო | 1,8 | 2,0 |
| 20.00 | 5442 | მალაგა-ოსასუნა | 1,7 | 2,2 |
| 20.00 | 5443 | ესპანიოლი-სევილია | 1,9 | 1,9 |
| 20.00 | 5444 | სელტა-ბილბაო | 1,7 | 2,2 |
| 20.00 | 5445 | რასინგი-სარაგოსა | 1,55 | 2,5 |
| 22.00 | 5446 | რეალი-ალბასეტე | 1,1 | 5,0 |
| 24.00 | 5447 | მურსია-ვალენსია | 2,4 | 1,6 |
| | | 24 ნოემბერი | | |
| 24.00 | 5448 | ფულემი-პორტსმუთი | 1,65 | 2,3 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო | | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 22 ნოემბერი | | | | | | | | | |
| 16.30 | 5111 | მანჩესტერი-ბლექბერნი | 1,5 | 20,0 | 40,0 | 3,5 | 5,6 | 17,0 | 30,0 | 17,0 | 17,0 |
| 19.00 | 5112 | ბირმინგემი-არსენალი | 6,5 | 10,0 | 20,0 | 7,0 | 4,4 | 3,6 | 20,0 | 10,0 | 2,6 |
| 19.00 | 5113 | ევერტონი-ვულვერჰემპ. | 2,4 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,4 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| 19.00 | 5114 | ლიდსი-ბოლტონი | 3,4 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,3 | 20,0 | 10,0 | 4,6 |
| 19.00 | 5115 | ლესტერი-ჩარლტონი | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,8 | 20,0 | 10,0 | 4,0 |
| 19.00 | 5116 | მიდლსბრო-ლივერპული | 4,6 | 10,0 | 20,0 | 5,3 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,4 |
| 19.00 | 5117 | ნიუკასლი-სიტი | 2,6 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,4 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 19.00 | 5118 | საუთჰემპტონი-ჩელსი | 7,0 | 10,0 | 20,0 | 8,0 | 4,4 | 3,5 | 20,0 | 10,0 | 2,5 |
| 18.30 | 5119 | მიუნხენი-ბაიერნი | 8,0 | 10,0 | 20,0 | 9,0 | 4,6 | 3,4 | 20,0 | 10,0 | 2,2 |
| 18.30 | 5120 | დორტმუნდი-ლევერკუზ. | 3,2 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 5,0 |
| 18.30 | 5121 | შალკე-ჰანზა | 2,2 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,6 | 9,0 | 20,0 | 10,0 | 8,0 |
| 18.30 | 5122 | შტუტგარტი-ჰანოვერი | 1,9 | 12,0 | 25,0 | 3,4. | 4,6 | 12,0 | 20,0 | 12,0 | 12,0 |
| 18.30 | 5123 | ვერდერი-ბოხუმი | 2,1 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,6 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 9,0 |
| 18.30 | 5124 | კიოლნი-ჰამბურგი | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,8 | 20,0 | 10,0 | 4,0 |
| 18.30 | 5125 | ვოლფსბ.-მ.გლადბახი | 2,0 | 12,0 | 25,0 | 3,4 | 4,6 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 10,0 |
| 21.00 | 5126 | მოდენა-იუვენტუსი | 8,0 | 10,0 | 20,0 | 9,0 | 4,6 | 3,4 | 20,0 | 10,0 | 2,4 |
| 23.30 | 5127 | ინტერი-რეჯინა | 1,5 | 20,0 | 40,0 | 3,5 | 5,6 | 17,0 | 30,0 | 17,0 | 17,0 |
| 22.30 | 5128 | სოსიედადი-მალიორკა | 2,4 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,4 | 8,5 | 20,0 | 10,0 | 7,5 |
| 22.30 | 5129 | ბეტისი-დეპორტივო | 4,2 | 10,0 | 20,0 | 4,8 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,6 |
| 00.30 | 5130 | ვილიარ.-ბარსელონა | 4,4 | 10,0 | 20,0 | 5,0 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,5 |
| | | 23 ნოემბერი | | | | | | | | | |
| 20.05 | 5131 | ტოტენჰემი-ასტონ ვილა | 2,7 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 20.30 | 5132 | კ.ლაუტერნი-პერტა | 3,1 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 20.30 | 5133 | ფრაიბურგი-აინტრახტი | 2,3 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,6 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,5 |
| 18.00 | 5134 | ანკონა-ბრეშა | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 4,8 | 20,0 | 10,0 | 4,4 |
| 18.00 | 5135 | ბოლონია-რომა | 6,5 | 10,0 | 20,0 | 7,5 | 4,4 | 3,8 | 20,0 | 10,0 | 2,8 |
| 18.00 | 5136 | ემპოლი-პარმა | 6,0 | 10,0 | 20,0 | 7,0 | 4,4 | 3,8 | 20,0 | 10,0 | 2,9 |
| 18.00 | 5137 | ლაციო-პერუჯა | 1,8 | 15,0 | 30,0 | 3,5 | 4,6 | 14,0 | 25,0 | 14,0 | 14,0 |
| 18.00 | 5138 | ლეჩე-სამპდორია | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 4,8 | 20,0 | 10,0 | 4,4 |
| 18.00 | 5139 | უდინეზე-სიენა | 2,5 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,4 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| 23.30 | 5140 | კიევო-მილანი | 6,5 | 10,0 | 20,0 | 7,5 | 4,4 | 3,6 | 20,0 | 10,0 | 2,7 |
| 20.00 | 5141 | ვალიადოლ.-ატლეტიკო | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 4,8 | 20,0 | 10,0 | 4,2 |
| 20.00 | 5142 | მალაგა-ოსასუნა | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,6 |
| 20.00 | 5143 | ესპანიოლი-სევილია | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 20.00 | 5144 | სელტა-ბილბაო | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,6 |
| 20.00 | 5145 | რასინგი-სარაგოსა | 2,6 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,4 | 7,5 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 22.00 | 5146 | რეალი-ალბასეტე | 1,3 | 25,0 | 50,0 | 3,5 | 7,0 | 25,0 | 35,0 | 25,0 | 25,0 |
| 24.00 | 5147 | მურსია-ვალენსია | 7,0 | 10,0 | 20,0 | 8,0 | 4,4 | 3,5 | 20,0 | 10,0 | 2,5 |
| | | 24 ნოემბერი | | | | | | | | | |
| 24.00 | 5148 | ფულემი-პორტსმუთი | 2,7 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 6,5 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# RUGBY WORLD CUP 2003

## მესამე ადგილისთვის

### ახ. ზელანდია 40:13 საფრანგეთი

20 ნოემბერი. სიდნეი. «ტელსტრა სტადიუმი»

**ახალი ზელანდია:** მულიაინა, ჰაულეტი, მაკდონალდი, მეიჯერი (კარტერი, რალფი), როკოკოკო, სპენსერი, დივეინი; კოლინზი (ჰოლა), მაკქოუ, რ. სორნი (კაპ), უილიამსი (ბ. სორნი), ჯეკი, სომერვილი, მეალამუ (ჰემიტი), ჰიუიტი (ჰოფტი);

ნლ: ჯეკი, ჰაულეტი, როკოკოკო, რ. სორნი, მულიაინა, მაკქოუ ნგ: მაკდონალდი, კარტერი (4)

**საფრანგეთი:** პუატრენო (ბრუსკე), ელისაგა, მარში (ლიბენბერგი), ტრაი, ბორი, მერსერონი (მიშალაკი), იაშვილი; შაბალი, ლაბიტი, ტაბაკო (მანი), პრივატი (პელუ), ორადუ, მარკონე (კრენკა), ბრუ (კაპ) (იბანესი), პუ

1ლ: ელორგა; 1გ: იაშვილი; 1ს: იაშვილი; 1ა: იაშვილი

მსაჯი: კრის უაიტი (ინგლისი)

# ახალზელანდიური კოცნა ფრანგებს

## მიტჩელი თავის მართლებისთვის ემზადება

ახალ ზელანდიას მესამე ადგილით და ძველი გამამწარებლის, საფრანგეთის ძლევით მოუწევს გულის მოოხება. „შავების“ მეთაურ ჯონ მიტჩელს სჭირდებოდა ეს გამარჯვება. როცა ახალზელანდიური რაგბის მამების წინაშე სამსჯავროზე წარდგება, მსოფლიოს თასის ნახევარფინალში ავსტრალიასთან წაგების საპირისპიროდ ის ბევრი ლამაზ გამარჯვებას მოიტანს და იქნებ შერჩეს კიდეც მსოფლიოში ყველაზე ნიჭმომადლებული ნაკრების მწვრთნელის თანამდებობა.

ამიტომაც იყო, მიტჩელმა ფრანგთა სამარქაფოებს უძლიერესი შემადგენლობა რომ დააჯახა და აგერ, 27 ქულითაც მოუგო მესამე ადგილისთვის მატჩი, რომელში გამარჯვებაც, როგორც წესი, არავის სჭირდება ხოლმე. აკი ამბობდა ახალ ზელანდიაში დაბადებული ფრანგი შუამარბი ტონი მარში, არ ვიცით, როგორ უნდა მოვიკრიფოთ მოტივაცია ამ მატჩისთვისო. მართლაც, თუკი ერთი-ორ ფრანგს (იაშვილი, ელორგა) არ ჩავთვლით, მათ ერთობ ულიმლამოდ იბურთავეს.

მათ მეტოქეს ცოტა მეტი სტიმული ჰქონდა — ახალზელანდიელებს რა დაავიწყებთ მათ, 1999 წლის კოშმარს, როცა მაშინდელი თასის ზეფავორიტები ნახევარფინალში ფრანგებმა გამოთიშეს ჩემპიონობისთვის ბრძოლას.

ფრანგებმა მაინც რიგიანად დაიწყეს და რამდენიმე წუთში საჯარიმოთი ანგარიშის გახსნის შანსი მიეცათ, მაგრამ რად უნდათ, ისევე, როგორც ინგლისთან ნახევარფინალში, მათ დამრტყმელს (მხოლოდ ის ამ ჯერად არა მიშალაკი, არამედ მერსერონი იყო) ისევ მოეცარა ფეხი.

ვერ გაიტანეს და ფრანგებმა თავად გაუშვეს. „შავების“ ზორბა მორკინალმა კრის ჯეკმა საჯარიმოს გაფუჭებიდან ორ წუთში ლამაზი შეტევა ლელოთი დააგვირგვინა. „შავებმა“ შესვენებამდე ერთხელაც გაჭრეს ფრანგთა დაცვა, რასაც „მამლებმა“ დიმიტრი იაშვილის ორი გოლით უპასუხეს. რაკი 10 ნომრებს, ძირითად დამრტყმელებს, მიზანი აერიათ, დარტყმა ქართულგვარიანმა 9 ნომერმა ითავა. იაშვილმა ერთი საჯარიმო და ერთიც არეკნი გაიტანა. 14:6 დასრულებული პირველი ტაიმის შემდეგ ფრანგებმა მეორეც იერიშებით დაიწყეს და მულატმა პეპიტო ელორგამ კუნძულელებს ლამაზი ლელოც გაუტანა, რომელიც იაშვილმა ზუსტად გარდასახა და საფრანგეთი ქულამდე წამოეწია მეტოქეს, მაგრამ ეს იყო ბოლო გაბრძოლება, „მამლებმა“ მეტი ველარ მოახერხეს.

სამაგიეროდ, „შავები“ აბობოქრდნენ და 50-ე წუთიდან ათ წუთში სამჯერ დაალელოვეს მეტოქე. თავისი წილი გაიტანეს მსოფლიოს თასის უყოჩაღესმა მელელოვეებმა — ჰაულეტმა (პირველ ტაიმში), როკოკოკომ და მულიაინამ ასე რომ, დიდი შანსია, მსოფლიოს თასის მთავარი მელელოვე ახალზელანდიელი გახდეს, ანაც ახალზელანდიელები. მსოფლიოს თასზე ფინალიღა დარჩა სათამაშო, ფინალისტი ინგლისელთაგან და ავსტრალიელთაგან 7-7 ლელოიანი მულიაინას და ჰაულეტის დაწევის ყველაზე მეტი შანსი ალბათ მაინც ინგლისელ უილ გრინვუდსა და ავსტრალიელ მეტ როჯერსს აქვთ, თუმც ფინალში ორი ლელოს გატანა თითქმის შეუძლებელი იქნება ამ ორისთვისაც და ყველა დანარჩენისთვისაც.

რაც შეეხება მექულეთა დავას, აქა კვლავ ფრედერიკ მიშალაკი ლიდერობს, თუმც მას ამ თამაშში ქულაც არ გაუკეთებია და ძველებურად მხოლოდ ხუთი ქულით უსწრებს ინგლისელ ჩუბინს, ჯონი უილკინსონს.

**ირაკლი ფირაშვილი**



ჯო როკოკოკომ წელს 17 ლელო გაიტანა და რეკორდი გაიმეორა

ახალზელანდიელი ჯო როკოკოკოს საფრანგეთთან გატანილი ლელო მისი მეექვსე სათასო იყო, ხოლო ამ სეზონისთვის კი მე-17 სანაკრებო გამოდგა. ეს რეკორდის გამეორებაა, რომელიც 2002 წელს იაპონელ დაისუკე ოჰატას დაუმყარებია.

### სეზონური მექულეები

| | | | |
|---|---|---|---|
| 17 | ჯო როკოკოკო | ახალი ზელანდია | 2003 |
| 17 | დაისუკე ოჰატა | იაპონია | 2002 |
| 16 | ხოსე მარია ნუნიეს პიოსეკი | არგენტინა | 2003 |
| 15 | ურიელ ოფარელი | არგენტინა | 1951 |
| 14 | სენივალატი ლაულაუ | ფიჯი | 1983 |
| 14 | დაგ ჰაულეტი | ახალი ზელანდია | 2003 |
| 13 | გუსტავო ხორხე | არგენტინა | 1993 |
| 12 | ფილიპ სანტ-ანდრე | საფრანგეთი | 1995 |
| 12 | ჯონა ლომუ | ახალი ზელანდია | 1995 |
| 12 | კრისტიან ქალენი | ახალი ზელანდია | 1997 |
| 12 | ტორი კურიჰარა | იაპონია | 2002 |

### მსოფლიოს თასის მექულეები

103 — ფედერიკ მიშალაკი (საფრანგეთი)
98 — ჯონი უილკინსონი (ინგლისი)
88 — ელტონ ფლეტლი (ავსტრალია)
75 — ლეონ მაკდონალდი (ახ. ზელანდია)
71 — კრის პატერსონი (შოტლანდია)
57 — მეტ როჯერსი (ავსტრალია)
51 — მაიკ ჰერკუსი (აშშ)
50 — რიმა ვაკარუა (იტალია)
49 — ერლ ვაა (სამოა)
48 — დერიკ ჰუგაარდი (ს. აფრიკა), დენიელ კარტერი (ახ. ზელანდია)
45 — ნიკი ლითლი (ფიჯი)
40 — ტორი კურიჰარა (იაპონია)
36 — სტივენ ჯონსი (უელსი)
35 — მალილი მულიაინა (ახ. ზელანდია), დაგ ჰაულეტი (ახ. ზელანდია)
33 — გონსალო კესადა (არგენტინა)
30 — პოლ გრეისონი (ინგლისი), იესტინ ჰარისი (უელსი), რონან ოგარა (ირლანდია), ჯო როკოკოკო (ახ. ზელანდია)
29 — დევიდ ჰემფრიზი (ირლანდია)
25 — უილ გრინვუდი (ინგლისი), კრის ლეთემი (ავსტრალია), ჯოშ ლუისი (ინგლისი), კარლოს სპენსერი (ახ. ზელანდია)

### მელელოვეები

7 — დაგ ჰაულეტი (ახ. ზელანდია), მალილი მულიაინა (ახ. ზელანდია),
6 — ჯო როკოკოკო (ახ. ზელანდია)
5 — უილ გრინვუდი (ინგლისი), კრის ლეთემი (ავსტრალია), ჯოშ ლუისი (ინგლისი), მეტ როჯერსი (ავსტრალია)
4 — პაბლო ბოუსა (არგენტინა), კრისტოფ დომინისი (საფრანგეთი), მარტინ გაიტანი (არგენტინა), მეტ ჟიტუ (ავსტრალია), ლეონ მაკდონალდი (ახ.ზელანდია), ქალებ რალფი (ახ. ზელანდია), კარლოს სპენსერი (ახ. ზელანდია), ლოთე ტუკირი (ავსტრალია)



ფრანგებს თავისი წილი ლელო დაგ ჰაულეტმაც დაუდო

# NBA რეგულარული ჩემპიონატი



REUTERS პორტფოლიო

პორტლენდელმა დეილ დევისმა (№34) და რაშიდ ვოლესმა მაიამელი ლამარ ოდომი გაჭყლიტეს

## ცქიტიშვილის კომპ-ლექსი
## როცა ვაგებთ, მაშინ ვაგდებ, ეს ზნე ველარ გადავაგდე

— 19 ნოემბერი —

**დენვერი 94:86 მილუოკი**
დენვერი: მილერი (17), ლენარდი (14), ენტონი (13), ელსონი (15), კემბი (3); ბერი (10), ანდერსენი (8), ბოიკინსი (10), ბოუენი (10), *ცქიტიშვილი* (9 წუთი, 2 ქულა, 1 მოხსნა)
მილუოკი: ფორდი, რედი (24), ტომასი (25), სმიტი (12), სანტიაგო (4); ჯონსი (3), მეისონი (5), კუკოჩი (10), გაძურიჩი (3), სტიკლენდი

**პორტლენდი 94:93 მაიამი**
პორტლენდი: სტუდემაიერი (13), მაკინისი (11), ვოლესი (21), რენდორფი (17), დევისი (7); კ. ვუდსი (11), პატერსონი (4), *სტეფანია* (12 წუთი, 10 ქულა, 4 მოხსნა, 1 პასი), კეროლი, მიურეი
მაიამი: ჯონსი (26), ვეიდი (24), ოდომი (13), ჰეისლიმი (8), გრანტი (6); ალსტონი (6), ლ. ვუდსი (4), უოლკერი (4), ბატლერი (2)

**იუტა 110:118 საკრამენტო**
იუტა: აროიო (25), კირილენკო (22)
საკრამენტო: სტოიაკოვიჩი (30), ბიბი (18)

**ბოსტონი 73:81 ნიუ ორლეანი**
ბოსტონი: პირსი (23)
ნიუ ორლეანი: დევისი (17)

**ტორონტო 75:81 ფილადელფია**
ტორონტო: კარტერი (20)
ფილადელფია: ჯექსონი (23)

**ნიუ იორკი 83:104 ლეიკერსი**
ნიუ იორკი: უილიამსი (14)
ლეიკერსი: ონილი (23)

**მემფისი 92:99 დეტროიტი**
მემფისი: მილერი (18)
დეტროიტი: ბილაფსი (33)

**ვაშინგტონი 106:95 კლივლენდი**
ვაშინგტონი: არენასი (25), ჰიუზი (22)
კლივლენდი: ჯეიმსი (28 ქულა, 8 პასი, 7 მოხსნა)

**ინდიანა 91:78 კლიპერსი**
ინდიანა: ჰარინგტონი (22)
კლიპერსი: დულინგი (18)

**ჰიუსტონი 85:83 გოლდენ სტეიტი**
ჰიუსტონი: ფრენსისი (23), მინგი (23)
გოლდენ სტეიტი: რობინსონი (23)

„მინესოტასთან" 18 ნოემბრის მატჩში ნიკა ცქიტიშვილმა დენვერელთაგან ყველაზე მეტი ქულა ჩააგდო, მაგრამ ამით მის ყოველდღიურ ცხოვრებაში ბევრი არაფერი შეცვლილა.

მეორე დღეს „დენვერი" უკვე მისივე წონის „მილუოკის" შეხვდა და წინა მატჩის ბომბარდირი ოდენ 9 წუთი ათამაშეს. ძნელი მისახვედრი არაა, რატომ. წინა თამაში „დენვერმა" „მინესოტასთან" უიმედოდ ააგო. თამაშის ბედი ადრევე გადაწყდა „მგლების" სასარგებლოდ და ცქიტიშვილმაც ინტერესდაკარგულ ბურთაობაში მიითვალა 12 ქულა.

„სკიტა" პირველ ტაიმშიც გაიყვანა ბზდელიკმა მოედანზე, როცა გვარიანი ბრძოლა იყო გაჩაღებული, მაგრამ ნიკამ მიჯრით ხუთი სროლა ააცილა და, ცხადია, სათადარიგოებს დაუბრუნდა...

თუნდაც წინა სეზონი გავიხსენოთ, ცქიტიშვილმა ყველაზე მეტი, 17 ქულა, მრისხანე „ლეიკერსს" ჩაუგდო და მაშინაც იგივე სცენა გათამაშდა, რაც ახლა „მინესოტასთან" — ლოსანჯელესელებმა დენვერელები მესამე მეოთხედში მოტეხეს, მერე კი მოედანზე ქართველი შევიდა და დაარხეინებულ მეტოქესთან ჭიდილში ქისა 17 ქულით შეივსო.

აქედან მხოლოდ ერთი დასკვნის გამოტანა შეიძლება: ცქიტიშვილს არ ენდობიან პრინციპულ, დაძაბულ მატჩებში, როცა თამაშის ბედი სასწორზეა, ხოლო როცა ყველაფერი გადაწყვეტილია და სანერვიულო არაფერია, ბზდელიკს თამამად შეჰყავს ხოლმე ჩვენებური მოედანზე.

იბადება ერთი კითხვაც: რატომ თამაშობს ცქიტიშვილი ინტრიგანაკლულ მატჩებში კარგად, ხოლო ნამდვილ ბრძოლებში მოიკოჭლებს? ეს უკვე თავად კალათბურთელში დაბუდებული კომპლექსის ბრალია, ზედმეტ ფსიქოლოგიურ ზეწოლას განიცდის დიდი პასუხისმგებლობის დროს და თამაში არ გამოსდის. ეს რომ ასეა, თავად ნიკასაც არაერთხელ უთქვამს ჩვენთვის, თუმცა ამ ბოლო დროს იმედიანად იყო, გავთავისუფლდი კომპლექსისგანო, მაგრამ, როგორც ჩანს, ჯერაც საკმაო დახვეწას საჭიროებს.

„მილუოკისთან" მატჩს მივუბრუნდეთ. დენვერელებს აკლდათ ტრავმირებული ძირითადი მეფარე ნენე ილარიო, რომელმაც საბოლოოდ მოიშორა გვარი და უკვე ოქმებშიც ნენედ მოიხსენიება. ბრაზილიელის არყოფნა ქართველის წისქვილზე ასხამდა წყალს, მაგრამ ბზდელიკმა ნენეს ნაცვლად წლევანდელი დრაფტის 41-ე ნომერი, ფრანცისკო ელსონი ათამაშა. ელსონი საკმად დამაჯერებლად გამოიყურებოდა, საკვანძო ბურთიც ჩააგდო და საბოლოოდ მხოლოდ 17 ქულის მომხვეჭ ანდრე მილერს ჩამორჩა.

იმარჯვა ვლადიმერ სტეფანიას „პორტლენდმაც", მაგრამ ორეგონელებმა გამარჯვება დიდი წვალების შედეგად გამოჭედეს. სტეფანიას არც ამჯერად უთამაშია საკმარისად, მაგრამ ეს მატჩი მისთვის საუკეთესო გამოდგა ამ სეზონში.

ვოვასთვის ალბათ ორმაგად სასიხარულოა, რომ თავი სწორედ გუშინწინ, თავისი ყოფილი გუნდის წინააღმდეგ გამოიჩინა. სტეფანია 12 წუთი ეომა მაიამელებს და საბოლოოდ 10 ქულაც მიითვალა. იგი პირველივე მეოთხედში გამოჩნდა მოედანზე დეილ დევისის ნაცვლად და მაიამელ მეფარეებს გვარიანი თავსატეხი გაუჩინა. სტეფანია მეტოქის ფარზე გაბატონდა და მცირე მონაკვეთში 4-ჯერ მოხსნა ბურთი. „პორტლენდსაც" ულხინდა და ერთი ხანობა 13 ქულითაც გალიდერდა, თუმცა შემდეგ აიჭრა და მატჩის გადასარჩენად გვარიანი ჭაპანწყვეტა დასჭირდა.

დასრულებამდე 10 წუთით ადრე „პორტლენდი" 65:79 აგებდა, თუმცა რაშიდ უოლესმა და ზაკ რენდოლფმა არ ისურვეს დანებება. რაშიდის ბოლო წუთზე გასროლილი ჯადო სამქულიანის შემდეგ „პორტლენდმა" პირველ ტაიმში დაკარგული ლიდერობა დაიბრუნა — 92:91. „მაიამი" ნოკდაუნში აღმოჩნდა, მაგრამ გამბედავი ახალბედის დუეინ ვეიდის გარღვევის შემდეგ ფლორიდელებს 7 წამი აკლდებოდათ გამარჯვებამდე. ამ მოკლე ხანში ბევრი რამ მოასწრეს პორტლენდელებმა. ჯერ ჯეფ მაკინისმა ესროლა გასამარჯვებლად, მაგრამ ააცილა და შავ დღეში ჩაცვენილი პორტლენდელები სამარქფო კუინტელ ვუდსმა იხსნა. მან მეტად საჭირო მოხსნა გაახერხა და მაიამელებიც იქვე დაჯარიმდნენ.

**ირაკლი პერტაია**

| აღმოსავლეთი | | | |
|---|---|---|---|
| **ატლანტიკა** | | | |
| ფილადელფია | 6 | 6 | 50,0 |
| ბოსტონი | 5 | 6 | 45,5 |
| ნიუ ჯერსი | 5 | 6 | 45,5 |
| ვაშინგტონი | 5 | 6 | 45,5 |
| ნიუ იორკი | 3 | 8 | 27,3 |
| მაიამი | 3 | 9 | 25,0 |
| ორლანდო | 1 | 10 | 09,1 |
| **ცენტრალური** | | | |
| ინდიანა | 9 | 2 | 81,8 |
| ნიუ ორლეანი | 9 | 3 | 75,0 |
| დეტროიტი | 8 | 4 | 66,4 |
| მილუოკი | 5 | 6 | 45,5 |
| ტორონტო | 5 | 6 | 45,5 |
| ატლანტა | 4 | 8 | 33,3 |
| ჩიკაგო | 4 | 8 | 33,3 |
| კლივლენდი | 4 | 8 | 33,3 |

| დასავლეთი | | | |
|---|---|---|---|
| **შუა-დასავლეთი** | | | |
| ჰიუსტონი | 8 | 3 | 72,7 |
| დალასი | 7 | 4 | 63,6 |
| სან ანტონიო | 7 | 5 | 58,3 |
| დენვერი | 6 | 5 | 54,5 |
| მინესოტა | 6 | 5 | 54,5 |
| იუტა | 6 | 6 | 50,0 |
| მემფისი | 5 | 5 | 50,0 |
| **წყნარი ოკეანე** | | | |
| ლეიკერსი | 9 | 3 | 75,0 |
| სიეტლი | 6 | 3 | 66,7 |
| საკრამენტო | 7 | 4 | 63,6 |
| პორტლენდი | 6 | 5 | 54,5 |
| კლიპერსი | 4 | 4 | 50,0 |
| ფინიქსი | 4 | 6 | 40,0 |
| გოლდენ სტეიტი | 4 | 7 | 36,4 |



# NHL რეგულარული ჩემპიონატი

## პინგვინები აფორიაქდნენ: არწივი მეზრდებათ

— 19 ნოემბერი —

**პიტსბურგი 2:6 მინესოტა**
*0:3 0:1 2:2*
0:1 ლააკსონენი (9), 0:2 ჟოლტოკი (19), 0:3 ლააკსონენი (20), 0:4 გაბორიკი (35), 1:4 კოსტოპულოსი (44), 1:5 დეიგლი (50), 2:5 მარლო (54), 2:6 დიუპუი (56)

მძიმე დღეშია „პიტსბურგი", სხვაგვარად უარს არ იტყოდა საუკეთესო მოთამაშის 18 წლის მეკარე მარკ-ანდრე ფლერის გამოყენებაზე. ფლერიმ საუცხოოდ დაიწყო სეზონი და „პიტსბურგის" საშინაო არენაზე ხალხიც მოიზიდა, მაგრამ... ალბათ გუნდის დატოვება მაინც მოუწევს. გენერალურმა მენეჯერმა კრეიგ პატრიკმა მიანიშნა თავკაც ედ ოლჩიკს, რომ ეს აუცილებელია გუნდის გადასარჩენად. ფლერიმ უკვე მიიღო პრემია, როცა 10 მატჩზე მეტი ითამაშა. ახლა თუ ის 25 შეხვედრაზე მეტს ჩაატარებს, ავტომატურად ხდება სეზონის საუკეთესო ახალბედას ტიტულის მაძიებელი და საკმარისია, ხუთეულში მოხვდეს (რაც არანაირ ეჭვს არ იწვევს), რომ მას კონტრაქტის თანახმად 5 მილიონი დოლარი უნდა გადაუხადონ ანუ იმდენი, რამდენსაც მარიო ლემიეს უხდიან. ამას კი „პიტსბურგის" ჯიბე ვერ გასწვდება.

ფლერი, რა თქმა უნდა, გულდაწყვეტილია — „საწყენია, რომ მატერიალური მიზეზების გამო მომიწევს გუნდის დატოვება. თანაც ასაკის მიხედვით ფარმკლუბშიც კი არ შემიძლია წასვლა, იუნიორთა ლიგაში უნდა დავბრუნდე."

ეტყობა, ამ ამბავმა ისე იმოქმედა ფლერზე, რომ „მინესოტასთან" თავის თავს აღარ ჰგავდა — 3 შაიბა გაუშვა და სათადარიგოთა სკამზე დასვეს. დაჩაჩანაკებული „პიტსბურგი" მაშინაც ვერ აგროვებს ქულებს, როცა ფლერი ბრწყინავს და უმისოდ რას უზამდნენ, ბოლომდე გაპუტეს.

**ლოს ანჯელესი 3:0 ნეშვილი**
*2:0 1:0 0:0*
0:1 ევერი (5), 2:0 კამალერი (7), 3:0 ბრენანი (25)

**ფინიქსი 5:4 სენტ ლუისი**
*1:1 3:2 1:1*
1:0 სავაჟი (1), 1:1 დრეიკი (12), 1:2 რ. ჯონსონი (25), 1:3 პრონგერი (29), 2:3 ტაფი (34), 3:3 დოუნი (37), 4:3 დოუნი (40), 4:4 მელანბი (44), 5:4 სავაჟი (59)

**დალასი 3:3 ანაჰაიმი**
*1:1 2:1 0:1 0:0*
0:1 მაკდონალდი (11), 1:1 მოდანო (16),



მარკ ანდრე ფლერი ბრწყინვალედ თამაშობს, მაგრამ გუნდიდან მაინც უშვებენ

2:1 არნოტი (25), 3:1 კლემი (26), 3:2 სიკორა (37), 3:3 მაკდონალდი (49)

„ანაჰაიმს" ბედმა გაუღიმა, ქულა იშოვა. მესამე პერიოდში ენდი მაკდონალდი მინდორის შუაგულში დაეუფლა შაიბას და სანამ სათადარიგოთა სკამისკენ გასრიალდებოდა, უბრალოდ, მოისროლა რეზინის დისკი „დალასის" კარისკენ და რაოდენ განცვიფრდა, როცა რამდენიმე წამში პარტნიორები გადაეხვივნენ გოლის მისალოცად. ვერაგი შაიბა დალასელი მარტი ტურკოს წინ ახტა და... მეკარე უსუსური აღმოჩნდა.

**ატლანტა 5:4 ბოსტონი**
*2:2 1:2 1:0 1:0*
0:1 ჟილსონი (2), 0:2 ლაპოინტი (8), 1:2 პეტროვიცკი (17), 2:2 კოუენი (19), 2:3 მიურეი (23), 3:3 კოზლოვი (33), 3:4 როლსტონი (35), 4:4 ობენი (44), 5:4 კოვალჩუკი (64)

ილია კოვალჩუკი მხოლოდ მეგოლე სიმულანტიაო, ამტკიცებს ბოსტონელი ნიკ ბოინტონი. „იმედია, ლიგაში კიდევ დიდხანს ვითამაშებ, მაგრამ მასთან პირისპირ დგომას ნამდვილად არ ვისურვებდი. პროფესიონალი ასე იქცეოდეს, დაუჯერებელია. ისე ჩაყვინთა, რომ მსაჯებიც კი მოტყუვდნენ" — ჩიოდა მატჩის შემდეგ ბოსტონელი. გასაგებიც არის მისი გულისწყრომა. სწორედ ამ ეპიზოდში ჯარიმის მიღების შემდეგ „ბოინტონმა" ოვერტაიმში გუნდი უმცირესობაში დატოვა და... კოვალჩუკმაც შანსი გამოიყენა.

**დეტროიტი 5:1 კოლუმბუსი**
*2:0 2:0 1:1*
1:0 დრეიპერი (5), 2:0 ჰალი (17), 3:0 ჰოლმსტრიომი (25), 4:0 ჰალი (28), 4:1 სენდერსონი (43), 5:1 ტომასი (48)

**ფლორიდა 1:4 აილენდერსი**
*1:2 0:1 0:1*
0:1 ჰანტერი (6), 1:1 ჰორტონი (8), 1:2 ტომანდერი (14), 1:3 ბეიტსი (22), 1:4 ჰანტერი (45)

| აღმოსავლეთი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ატლანტიკა** | | | | | | |
| ფილადელფია | 17 | 10 | 4 | 1 | 2 | 54:33 | 25 |
| ნიუ ჯერსი | 17 | 10 | 4 | 0 | 3 | 44:29 | 24 |
| აილენდერსი | 17 | 9 | 2 | 0 | 6 | 55:41 | 20 |
| რეინჯერსი | 18 | 6 | 4 | 2 | 6 | 44:46 | 18 |
| პიტსბურგი | 17 | 4 | 3 | 0 | 10 | 33:64 | 11 |
| **ჩრდილო-აღმოსავლეთი** | | | | | | | |
| ბოსტონი | 18 | 10 | 3 | 3 | 2 | 51:39 | 26 |
| ტორონტო | 19 | 7 | 5 | 2 | 5 | 45:53 | 21 |
| ბუფალო | 19 | 8 | 2 | 1 | 8 | 40:52 | 19 |
| მონრეალი | 19 | 8 | 1 | 1 | 9 | 39:44 | 18 |
| ოტავა | 16 | 7 | 2 | 1 | 6 | 50:37 | 17 |
| **სამხრეთ-აღმოსავლეთი** | | | | | | | |
| ატლანტა | 20 | 9 | 3 | 1 | 7 | 58:56 | 22 |
| ტამპა | 14 | 9 | 2 | 1 | 2 | 42:26 | 21 |
| ფლორიდა | 20 | 7 | 2 | 0 | 11 | 42:53 | 16 |
| კაროლინა | 18 | 5 | 6 | 0 | 7 | 40:42 | 16 |
| ვაშინგტონი | 18 | 5 | 1 | 0 | 12 | 44:54 | 11 |

NHL NHL NHL NHL NHL NHL NHL NHL NHL

| დასავლეთი | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **ცენტრი** | | | | | | | |
| სენტ ლუისი | 17 | 11 | 0 | 1 | 5 | 46:39 | 23 |
| დეტროიტი | 19 | 10 | 2 | 0 | 7 | 60:47 | 22 |
| ჩიკაგო | 20 | 6 | 4 | 2 | 8 | 38:56 | 18 |
| ნეშვილი | 17 | 7 | 1 | 0 | 9 | 42:47 | 15 |
| კოლუმბუსი | 18 | 5 | 2 | 1 | 10 | 36:51 | 13 |
| **ჩრდილო-დასავლეთი** | | | | | | | |
| ვანკუვერი | 19 | 11 | 2 | 2 | 4 | 62:41 | 26 |
| კოლორადო | 18 | 11 | 1 | 1 | 5 | 58:44 | 24 |
| ედმონტონი | 18 | 9 | 2 | 0 | 7 | 55:53 | 20 |
| მინესოტა | 19 | 8 | 3 | 0 | 8 | 46:43 | 19 |
| კალგარი | 17 | 7 | 0 | 2 | 8 | 35:42 | 16 |
| **წყნარი ოკეანე** | | | | | | | |
| ლოს ანჯელესი | 17 | 9 | 1 | 1 | 6 | 47:38 | 20 |
| ანაჰაიმი | 20 | 7 | 2 | 4 | 7 | 42:51 | 20 |
| ფინიქსი | 18 | 6 | 5 | 1 | 6 | 47:55 | 18 |
| დალასი | 19 | 7 | 3 | 0 | 9 | 43:53 | 17 |
| სან ხოსე | 19 | 3 | 8 | 2 | 6 | 45:54 | 16 |

# ჯიმ კურიე იხსენებს სამპრასისა და აგასის მეგობარი მათზე, შტეფი გრაფსა და საკუთარ თავზეც



ჯიმ კურიეს მოსაგონი ბევრი აქვს

**ამ რამდენიმე** წლის წინ ლას ვეგასში ჩავედი, რათა ანდრე აგასისთან ერთად გოლფი წამეთამაშა. შტეფი გრაფი მაშინ უკვე მისი მეგობარი გოგო იყო და ამიტომ საგოლფოდ შეგვიამხანაგდა.

ერთ-ერთ ორმოსთან მოქუჩებულებს მოულოდნელად საჭურველმტვირთველი ასეთ რამეს შეგვეკითხა: „რაო, რას ამბობთ, რამდენი სლემტიტული გვაქვს მოგებული?"

მე, ოთხი-მეთქი, ვუთხარი, ანდრემ, ექვსიო და მერე შტეფის მიუტრიალდა, შტეფიმ ოდნავ შეიცადა და პასუხს ჰალალი ღიმილი მოაყოლა — „ოცდაორი!"

ანდრემ და მე ერთმანეთს გადავხედეთ და დავლადავდით — ჰო, ჩვენი მთელი ბაქი-ბუქის მიუხედავად ამ გოგოს ორივე ჯიბეში ვყავდით...

ეს ამბავი ხშირად მახსენდება ხოლმე. ეს ერთი იმ არაჩვეულებრივ ზიარ მოგონებათაგანია, რასაც ანდრე და მე უკვე ორ ათეულ წელზე მეტია, „ვაგროვებთ".

ამ ამბების გახსენება მართლაც მაგრად მსიამოვნებს. ყოველთვის კარგია იმის რეტროსპექტულად მოხილვა, რისთვისაც ბევრი გიშრომია, რაიც ჰალალად მოგინაგრავს.

და არა მარტო ტიტულების, არამედ უწინარესად იმის გამოც, რომ შენ თავს იგონებ — როგორი იყავი და როგორი შეეცადე გამხდარიყავი, და იმას, თუ რა მოუტანე შენი გარჯით მთლიანად ჩოგბურთს.

ამ თვალსაზრისით, ანდრე აგასის მშვიდად შეუძლია თვალი გაუსწოროს თავის წარსულს. და, რასაკვირველია, ეგევე ითქმის ჩემს მეორე მეგობარსა და მეტოქეზე პიტ სამპრასზეც.

მე ამ ბიჭებთან ერთად გავიზარდე, მერე ხან მათ წინააღმდეგ მიწევდა ჩოგნაობა, ხანაც მათთან ერთად ვიბრძოდი დევისთასისთვის. მე მოწმე ვარ იმისა, თუ როგორ ატარეს მათ თავიანთ მხრებზე მსოფლიო ჩოგბურთის ღირსება მთელი 15 წლის განმავლობაში.

ანდრეს ნიჭი ადრეასაკიდანვე აშკარა იყო. მას უბასრესი ხედვა და უმოქნილესი ხელები ჰქონდა. მაგრამ მაინც თავის ნებაზე მიშვებულ ქვემეხს ჰგავდა — არავინ იცოდა, რამდენად მძლავრად სურდა მას, თავისი ნიჭი გაემრავლებინა და სურდა თუ არა ეს საერთოდ.

ჩვენს გარდა მაშინ ჩოგნის ქნევას მაიკლ ჩანგი, დავიდ უიტონი, მალივაი ვაშინგტონი და ტოდ მარტინიც იწყებდნენ. იუნიორთა სარბიელი ძალზედ გადატვირთული იყო და იქ გაძლება დიდ ძალისხმევას მოითხოვდა, იმდენად დიდს, რომ — ცხადია, ვხუმრობ — ანდრემ 1986 წელს 16 წლისამ უკვე პროფესიულ ტურში გადაბარგება არჩია.

მან უმალვე გაიბრწყინა, თუმცა კითხვები მისი ხასიათის სიმტკიცისა და ფსიქიკური გამძლეობის შესახებ სხვებსაც გაუჩნდათ.

1991 წელს ის და მე ერთმანეთს როლანგაროსულ ფინალში შევხვდით. საიმდროოდ ის უკვე კოხტაპრუწა, შუშპარა ვარსკვლავი იყო, მაგრამ მილეთს მაინც არ სწამდა, რომ დიდი ფინალების მოგებას შეძლებდა. ჩემს წინააღმდეგ მან ურწმუნოთა დადუმება ვერ შეძლო, რადგანაც მატჩის დროს შესამჩნევად ნერვიულობდა, მე კი მასთან შედარებით ახალბედა ვიყავი და დასაკარგი არაფერი მქონდა.

ხასიათის უმტკიცობა ანდრეს მერეც ხშირად აიძულებდა, ჩოგბურთისგან იმედგაცრუებისას კორტი მიეგდო და რაღაც სხვის კეთება ეცადა. მისი ქარიზმისა და გონიერების მქონეს არ უჭირდა, დაედო თავი და, ვთქვათ, პირდაპირ ჰოლივუდისკენ გაეტია.

მაგრამ მერე და მერე ანდრემ უფრო რთული გზებით სიარული ამჯობინა. მან გადაწყვიტა, პრობლემებს ალარსად გაჰქცეოდა და თავისი უნარების სრულად გამოსამჟღავნებლად ალარაფერი დაეშურა. ის მიხვდა, რომ მას ძალიან ბევრი რამ ჰქონდა ბოძებული, მაგრამ თავად ძალიან ცოტა რამ გაეცა.

და მთელი ამისმომდევნო კარიერა მან სწორედ თავის გარდაქმნას დაუთმო. ის ახლა საოცრად მტკიცე და შეუპოვარი კაცია — როგორც კორტზე, სადაც მისდარი პროფესიონალები თითზე ჩამოსათვლელნი დარჩნენ, ისე მის გარეთ, სადაც ის უკვე ოჯახის მამაა.

პიტი კი იმთავითვე განსხვავებული ტიპი იყო და სწორედ მათი ეს პოლარულობა სძენდა გამორჩეულ ინტერესს მათ მრავალწლიან დაპირისპირებას.

პიტსა და მე იუნიორობისას მეტოქეობა იშვიათად გვიწევდა — მხოლოდ ერთხელ თუ შევხვდით — ამდენად ყოველთვის ძალზე ახლო მეგობრები ვიყავით.

ის არასოდეს ყოფილა ანდრესავით ცნობისმოყვარე და არასოდეს ეკითხებოდა თავის თავს: „კი მაგრამ, რატომ ვაკეთებ ამას?"

პიტისთვის A-ს პლუს B ყოველთვის C-ს იძლევა და მეტს არაფერს. თუკი ის კარგად მოემზადება, ივარჯიშებს და საჭირო ფორმაში შევა, მაშინ მან მეტოქეთა აბსოლუტურ უმრავლესობას უნდა სძლიოს. ეგ არის და ეგ. და პიტი ყოველთვის ამის გაკეთებას ცდილობდა.

თუმცა ამ მარტივი ფორმულის გათავისებამდე პიტს ბევრის გადატანა მოუხდა. დიდ ასპარეზზე პირველად გამოსულს ხშირად აწუხებდნენ იმის გამო, რომ ანდრესავით შუშპარა არ იყო. მაშინ ბევრი ფიქრობდა, რომ დიდ გამარჯვებებს ვერც ასეთი, ზედმეტად სტერილური ბიჭი მიაღწევდა.

პირველი, ვინც გააცნობიერა ის საფრთხე, რაც გარემოსგან დაუცველ, თავის თავში ჯერაც გაურკვეველსა და თავის მოწოდებაში ჯერაც დაურწმუნებელ პიტს ემუქრებოდა, მისი მწვრთნელი ტიმ გალიკსონი იყო.



ანდრე აგასიმ, პიტ სამპრასმა და ჯიმ კურიემ მთელი ეპოქა შექმნეს

სწორედ ტომმა უთხრა პიტს ის, რისი მოსმენაც მას ყველაზე მეტად სჭირდებოდა: „შენ ყველაზე ნიჭიერი მეჩოგნე ხარ და უკვე დროა, ამ ნიჭმა ნაყოფი გამოიღოს. ერთადერთი, რაც შენ გევალება, თავაუღებელი შრომაა."

ამის შემდეგ პიტს თავი მართლაც არ აუღია — ის ჩამოყალიბდა აბსოლუტურ მონოიდეისტად, რომელიც მთელი არსით იყო ფოკუსირებული იმაზე, რისი მიღწევაც მას ყველაზე მეტად სურდა ანუ დიდი ტიტულების მოხვეჭაზე.

ეს ფოკუსი პიტს ტიმის ავადმყოფობისა და გარდაცვალების გამოც არ გამრუდებია. ის ძველი ეპოქებიდან გადმოსულ გმირებს ჰგავდა, ასე 50-60-იანი წლების ბაგემოკუმულ, მოკრძალებულსა და დახვეწილ ავსტრალიელ ჯადომეჩოგნეებს.

მაგრამ არავის ეგონოს, რომ ის კორტსგარეც ასეთი მტკნარი, ოდენ გამარჯვებათა მჭედელი მანქანაა. მას საოცრად მახვილი, სარკასტული გონება აქვს და არც გულიანად ხარხარს თაკილობს. თუმცა საჯაროდ ამას ვერავინ იხილავს. პიტი საუცხოოდ ფლობს საკუთარ ემოციებს და ხალხში ყოველთვის მობილიზებული და გაწონასწორებულია. ოღონდ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მას არაფერი ჰქონდეს გულში.

1995 წელს ჩვენ ერთმანეთს ავსტრალიის ღია პირველობის მეოთხედფინალში ვერკინეთ. უდაბაბულესი ხუთსეტიანი ომი იყო. ერთ მომენტში გამწარებულ, გახელებულ პიტს ცრემლიც კი წასკდა, მაგრამ საბოლოოდ მაინც შეძლო, მატჩი გამარჯვებით მოემთავრებინა. სწორედ მაშინ მივხვდი — პიტი არ უგულებელჰყოფს იმას, რაც სამყაროში ხდება, ის უბრალოდ გულის სიღრმეში აუნჯებს მათ.

იმ მატჩის მერე ჩვენ ორივენი გასახდელში ვიწექით — დალეწილებს ალარაფრის თავი არ გვქონდა და გულაღმა წაგდებულები, თამაშზე, ტიმზე და ცხოვრებაზე ვლაპარაკობდით...

მე მეამაყება, რომ იმ შეხვედრის მონაწილე ვიყავი, იმ დრამისა, სადაც ჩვენ ერთმანეთს ჩვენი ჩოგბურთელობისა და ჩვენი მეგობრობის უმაღლეს დონეს ვუმტკიცებდით.

სხვათა შორის, პიტს სულ 14 სლემტიტული მოურეწავს, იმაზე მეტი, რაც ანდრეს და მე ერთად გვიშოვია, მაგრამ რვით ნაკლები შტეფის მონაგარზე.

ეს ის შემთხვევაა, როცა ციფრები ყველაფერს ვერ გამოხატავენ და ისტორიის სისავსის წინაშე დუმდებიან.



# შემოდგომის ჩემპიონები

**ხვალ-ზეგ** ბოსნიურ სოვრიაში ახალგაზრდა ძიუდოისტთა ევროპის ჩემპიონატი გაიმართება. ტურნირის შარშანდელი ტრიუმფატორი საქართველოს ნაკრები კვლავ 6 მედლის ალებას ახლა ნამდვილად ვერ შეძლებს, რადგან ბოსნიაში მხოლოდ ხუთი მოჭიდავე გაემგზავრა. ამ ტურნირისათვის გამოყოფილ 10 ათას ლარს ბიჭებმა ცოტ-ცოტა თავადაც წაამატეს, მაგრამ სრული შემადგენლობის წასასვლელად საჭირო თანხის მოგროვება ვერაფრით მოხერხდა და შედეგად ნაკრების დებიუტანტები, დავით სვიმონიშვილი (60კგ) და რევაზ ჩიკოიძე (90კგ) თბილისში დარჩნენ.

ერთი წლის წინ ჯემალ ნათელაშვილის „შვიდეულმა" ევროპის გუნდური ჩემპიონობა არავის დაუთმო, მაგრამ საბოსნიოდ დიდი საკადრო ცვლილებები განხორციელდა. მოჭიდავეთა უმეტესობა ახალგაზრდულ ასაკს გადასცდა, რუსლან გედენიძემ საბერძნეთს მიაშურა, მთავარ მწვრთნელად კი ბორის ფიცხელაური დაინიშნა. ფედერაციის გადაწყვეტილებით, ახალ ნაკრებს ევროპაზე ნათელაშვილიც გაჰყვა, ხოლო ძველი შემადგენლობიდან შარშან ვერცხლის მომგები ზაზა კედელაშვილი და ერთადერთი უმედლო გრიგოლ შინჯიკაშვილი შემორჩნენ.

ახალი სახეებიდან ყველაზე გამოსარჩევია მძიმეწონოსანი ლაშა გუჯეჯიანი, რომელიც საქართველოს ძირითადი ნაკრების ერთ-ერთი რეალური კანდიდატია და ოლიმპიური ლიცენზიისათვის აგროვებს ქულებს. საერთაშორისო არენაზე გამოსვლის ნაკლები გამოცდილება აქვთ გიორგი ბაიდაურსა და ლევან რაზმაძეს.

**ოთარ მაღლაკელიძე**

**საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები**

66 კგ — ზაზა კედელაშვილი
73 კგ — გიორგი ბაიდაური
81 კგ — გრიგოლ შინჯიკაშვილი
100 კგ — ლევან რაზმაძე
+120 კგ — ლაშა გუჯეჯიანი



# ხელბურთელებს ხელები ერთი სეზონით შეუკრეს

**ვენაში,** ევროპის ხელბურთის ფედერაციის შტაბბინაში, აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე საქართველოს ეროვნული ასოციაციის საკითხიც განიხილეს.

შეგახსენებთ, ივნისში ჩვენი ახალგაზრდული ნაკრები უფულობის გამო საფრანგეთში ევროპის ჩემპიონატში საასპარეზოდ ვერ გაემგზავრა. ფედერაციამაც, ბუნებრივია, ეს არ გვაპატია და 15000 ევროთი დაგვაჯარიმა.

ვალი ოქტომბრის ბოლოს უნდა დაგვეფარა, მაგრამ რაკი, როგორც მოსალოდნელი იყო, ვერ მოხერხდა, უარესის თავიდან ასაცილებლად საქართველოს ხელბურთის ეროვნულმა ასოციაციამ ქვეყანაში შექმნილი ვითარების გათვალისწინებით ევროინსტანციას ვალის გადავადების თხოვნით მიმართა.

ვენიდან გამოგზავნილ საკმაოდ თბილ წერილში, რომელსაც ხელს აწერენ ფედერაციის პრეზიდენტი სტეფან ჰოლმკვისტი და გენერალური მდივანი მიხაელ ვიდერერი, გულისტკივილია გამოხატული საქართველოს სპორტში, კერძოდ კი ხელბურთში სადღეისო მძიმე ვითარების გამო. თანაც იმის გათვალისწინებით, რომ ევროფედერაციას და ქართულ ასოციაციას ნაყოფიერი თანამშრომლობა აკავშირებს და ჩვენი დელეგატები აქტიურად მონაწილეობენ ევროპის შეჯიბრებებში, ვალის გადახდის ვადა 2004 წლის ივლისამდე — ნაკრებების და კლუბების ახალი ციკლის წილისყრამდე გადაგვიწიეს.

იმედია, ვალს როგორმე გავისტუმრებთ, მაგრამ მსგავსი შემთხვევა რომ აღარ განმეორდეს, ფედერაცია გარკვეულ გარანტიას ითხოვს.

რაც შეეხება მორიგი ეროვნული პირველობის ჩატარებას, ნოემბერიც მიილია და ჯერ ჩამიჩუმიც არ ისმის. ეტყობა, გაზაფხულამდე დაწყებაც ვერ მოხერხდება და გასული სეზონივით დასაცინ-სამარცხვინო ერთწრიანი „ჩემპიონატი" თუ გაიმართება.

**გია ახალაძე**

# ედმარ პრესრეკორდოსანი

ბრაზილიის საფეხბურთო ნაკრებმა მსოფლიო ჩემპიონატისთვის „შესარჩევად“ კურიტიბაში ურუგვაის გუნდი რომ მიიღო და 3:3 ეთამაშა, ეგ ამბავი ვინძლო უკვე აბანოეთშიც იციან. ხოლო აგერ აქ გაწოლილმა კაცმა იმ მატჩამდე საათით ადრე პრესის ვარჯიშობაში მსოფლიოს რეკორდი რომ დაამყარა, ეგ კი დასტურ სიახლე უნდა იყოს. ამ კაცს ედმარ ფრეიტასი ჰქვია, ბრაზილიელია, ფიზმომზადების ინსტრუქტორი გახლავთ და 30 საათის განმავლობაში გულაღმა 133 986-ჯერ აიზიდა. მისი აქამომდელი რეკორდი, რაიც მან მარტში დაამყარა, 24 საათში 111 ათასი გულაღმა აზიდვა ყოფილა.






## მამიკო და ოლივია

შაბათს სიდნეის ოლიმპიურ სტადიონზე ავსტრალიისა და ინგლისის სარაგბო ნაკრებები ერთმანეთს მსოფლიო თასისთვის უნდა ერკინონ. სამკვდროსასიცოცხლო მატჩის წინ მორაგბენი კაცურად დასვენებას ცდილობენ და საამამბოდ, აბა, იქაურ ტალღებზე სერფობას რა უნდა სჯობდეს... ინგლისელი ნილ ბეკი ფოტოობიექტივმა მის კუდრაჭა გოგოცუნა ოლივიასთან ერთად დააფიქსირა.

## წლეულს მიკის დღეობაა

წლეულს მიკი მაუსის „ბიზნესმოღვაწეობის“ დაწყებიდან 75-ე წელი აღინიშნება. ამ გამორჩეულ ამბავში ყველა თავისებურად მონაწილეობს. მათ შორისაა განთქმული ბეისბოლისტი. მსოფლიოს ჩემპიონ „ფლორიდა მარლინსის“ ლიდერთაგანი ჯეფ კონაინიც, ვინაც „უოლტ დისნეის სამყაროს“ იმ დღეს ეწვია.




## ტარო, ტატანო

წარმოშობით ჰავაელი სუმოისტი ტარო აკებონო, ვინაც პირველი უცხოური წარმომავლობის სუმოისტი იყო, დიდი ჩემპიონი რომ გახდა, თავის მძლავრ სხეულსა და გაუბზარავ სულს ახლა სხვა სახეობებშიც გამოსცდის. ახალი წლის წინ ის ამერიკული ფეხბურთის ყოფილ ვარსკვლავსა და ახლა სამხედრო ხელოვნებათა პოპულარულ ოსტატ ბობ საპს დაეჯახება.






## ბავშვის ცრემლი

რუს ფეხბურთელთა მიერ კარდიფში უელსელთა 1:0 ძლევამ მრავალ მილიონ არარუსთფილზე უწინარეს გული ამ პატარა ცუგრუმელას დაწყვიტა. ვაგლახ — მას ვერც მასზე არანაკლებ გულგატეხილი დედიკოს მოფერება ანუგეშებს.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ პოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გია ახვლედიანი, ილია ბარუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე ლადო ხომერიკი, კაჯა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კუთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხურიშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი ღვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge